

ევროკომისია

ბრიუსელი, 09.03.2022 წ.

COM(2022) 103 საბოლოო

დანართი

ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების საფუძველზე შექმნილი ასოცირების საბჭოში

ევროკავშირის სახელით ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების დღის წესრიგზე დასაკავებელი პოზიციის შესახებ

საბჭოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წინადადების

დანართი

დანართი

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საბჭოს

2022 წლის/დღე/თვე

რეკომენდაცია N 1/2022

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების დღის წესრიგის შესახებ

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საბჭომ,

ითვალისწინებს რა ასოცირების შესახებ შეთანხმებას, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის,

ვინაიდან

- (1) ასოცირების შესახებ შეთანხმებას, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის¹ (შემდგომში „შეთანხმება“) ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს და ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს.
- (2) შეთანხმების 406-ე მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, შეთანხმების მიზნების მისაღწევად ასოცირების საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს რეკომენდაციები.
- (3) შეთანხმების 420-ე მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, მხარეებმა უნდა მიიღონ ნებისმიერი ზოგადი თუ კონკრეტული ზომა, რომელიც აუცილებელია შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად, და უზრუნველყონ შეთანხმებით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა.
- (4) ასოცირების საბჭოს რეგლამენტის მე-11 მუხლი ითვალისწინებს სესიებს შორის წერილობითი პროცედურით გადაწყვეტილებების მიღების და რეკომენდაციების წარმოდგენის შესაძლებლობას ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში.

¹ ოფიციალური ჟურნალი L 261, 30.08.1992, გვ. 4.

- (5) ევროკავშირი და საქართველო შეთანხმდნენ, გააძლიერონ თავიანთი პარტნიორობა 2021-2027 წლებისთვის ერთობლივი მუშაობის პრიორიტეტებზე შეთანხმების გზით, შეთანხმებით გათვალისწინებული პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნების მისაღწევად.
- (6) შეთანხმების მხარეები შეთანხმდნენ ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების დღის წესრიგის ტექსტზე, რაც ხელს შეუწყობს შეთანხმების განხორციელებას საყოველთაოდ დადგენილი საერთო ინტერესების სფეროში თანამშრომლობაზე ყურადღების გამახვილებით.

მიიღო შემდეგი რეკომენდაცია:

მუხლი 1

ასოცირების საბჭო რეკომენდაციას უწევს მხარეებს, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების დღის წესრიგი განახორციელონ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დანართის შესაბამისად, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2021-2027 წლების დღის წესრიგი ჩაანაცვლებს 2017 წლის 6 ნოემბერს მიღებულ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების დღის წესრიგს.

მუხლი 3

წინამდებარე რეკომენდაცია ძალაში შედის მიღების დღიდან.

შედგენილია თბილისში, [დღე თვე წელი].

ასოცირების საბჭოს სახელით

თავმჯდომარე

დანართი

ევროკავშირსა და საქართველოს

შორის

ასოცირების 2021-2027 წლების

დღის წესრიგი

სარჩევი

შესავალი	5
1. პრინციპები, ინსტრუმენტები და რესურსები ასოცირების დღის წესრიგის განხორციელებისთვის	6
2. ასოცირების დღის წესრიგის პრიორიტეტები	8
A. საკვანძო პრიორიტეტები ქმედებისთვის	9
1. გამძლე, მდგრადი და ინტეგრირებული ეკონომიკის სფეროში	9
2. ანგარიშვალდებულებული ინსტიტუტების, კანონის უზენაესობისა და უსაფრთხოების სფეროში	12
3. გარემოსა და კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობის სფეროში	13
4. მდგრადი ციფრული ტრანსფორმაციის სფეროში	15
5. მდგრადი, სამართლიანი და ჩართული საზოგადოებების სფეროში	16
6. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში	19
B. ასოცირების დღის წესრიგის მოკლევადიანი და საშუალოვადიანი პრიორიტეტები	20
1. დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კარგი მმართველობა	21
2. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა	34
3. მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება	40
4. ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები	46
5. ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობა	54
6. ურთიერთკავშირები, ენერგეტიკა, გარემო, კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები და სამოქალაქო დაცვა	67
7. მობილობა და ხალხთაშორისი კონტაქტები	74

შესავალი

2014 წლის 27 ივნისს ევროკავშირმა, მისმა წევრმა სახელმწიფოებმა და საქართველომ (შემდგომში „მხარეები“) ხელი მოაწერეს ამბიციურ და ინოვაციურ ასოცირების შესახებ შეთანხმებას (AA), რომელიც ასევე მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) კომპონენტს. შეთანხმება ითვალისწინებს შესასრულებლად სავალდებულო სამართლებრივ დებულებებს და გაძლიერებულ თანამშრომლობას. DCFTA დროებით ამოქმედდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან. რატიფიკაციის პროცესის დასრულების შემდეგ ასოცირების შესახებ შეთანხმება სრულად ამოქმედდა 2016 წლის 1 ივლისიდან.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის შეთანხმებული შემდგომი ასოცირების დღის წესრიგები უზრუნველყოფს ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მომზადებასა და ხელშეწყობას. ასოცირების დღის წესრიგის პრიორიტეტები აერთიანებს ევროკავშირისა და საქართველოს პასუხისმგებლობას AA/DCFTA-ს დებულებების სრულად განხორციელებაზე. ის ფაქტი, რომ ასოცირების დღის წესრიგი ყურადღებას ამახვილებს პრიორიტეტთა შეზღუდულ რაოდენობაზე, არ ხელყოფს სხვა შესაბამისი შეთანხმებების ან აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი თანამშრომლობის საფუძველზე არსებული დიალოგის მასშტაბსა და მანდატს. ის ასევე არ ზღუდავს AA/DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას მისი ძალაში შესვლის შემდეგ და ხელს უწყობს დინამიკური დაახლოების პრინციპს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2017 წლის 28 მარტს ბიომეტრიული პასპორტის მფლობელი საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის რეჟიმის¹ ამოქმედებამ უზრუნველყო უსაფრთხო და კარგად მართვად გარემოში ორივე მხარის მობილობისა და ხალხთაშორისი კონტაქტების არსებითი ზრდა. შესაბამისად, წინამდებარე განახლებული ასოცირების დღის წესრიგი ასევე მიზნად ისახავს უვიზო მიმოსვლის პირობების განგრძობით შესრულებას, ვიზალიბერალიზაციის პროცესის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებისა და უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ფარგლებში ევროკომისიის მიერ გამოცემულ რეგულარულ ანგარიშებში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესაბამისად. მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა, მათ შორის, არალეგალური მიგრაციის, საქართველოს მოქალაქეების მიერ თავშესაფრის უსაფუძვლო მოთხოვნების, ისევე როგორც საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევების სფეროებში, ვიზალიბერალიზაციის კონტექსტში ევროკავშირისა და საქართველოს თანამშრომლობის მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება. შესაძლებელია ლეგალური მიგრაციის ხელშემწყობი საშუალებების დამატებით შესწავლა.

წინამდებარე დოკუმენტი აახლებს და კვლავ ამახვილებს ყურადღებას 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგზე და განსაზღვრავს ერთობლივი მუშაობის ახალ პრიორიტეტებს 2021-2027 წლების პერიოდში ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნების მისაღწევად. ის ერთმანეთისგან განასხვავებს მოკლევადიან პრიორიტეტებსა (რომლებიც მიღწეული უნდა იქნეს ან მათი შესრულების კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი უნდა შეიმჩნეოდეს 3-4 წლის ვადაში) და საშუალოვადიან პრიორიტეტებს (რომლებიც მიღწეული უნდა იქნეს ან მათი შესრულების კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი უნდა შეიმჩნეოდეს 7 წლის ვადაში). ასოცირების საბჭო ზედამხედველობასა და მონიტორინგს გაუწევს ასოცირების შესახებ შეთანხმების გამოყენებასა და განხორციელებას, აგრეთვე პერიოდულად განიხილავს ამ შეთანხმების ფუნქციონირებას მისი მიზნების გათვალისწინებით და ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად შექმნილი ასოცირების კომიტეტისა და ქვეკომიტეტების დახმარებით.

წინამდებარე ასოცირების დღის წესრიგი იმოქმედებს მისი მიღების მომენტიდან 2027 წლის ბოლომდე. ასოცირების დღის წესრიგში შესწორებების შეტანა ან მისი განახლება შესაძლებელია ნებისმიერ დროს, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საბჭოსთან შეთანხმებით.

პრინციპები, ინსტრუმენტები და რესურსები ასოცირების დღის წესრიგის განხორციელებისთვის

ასოცირების დღის წესრიგის შესრულება გაგრძელდება შემდეგ საერთო პრინციპებზე დაყრდნობით:

- ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს AA/DCFTA-ის, მათ შორის, მისი პრეამბულის სრული დაცვით;
- ასოცირების დღის წესრიგი უნდა შესრულდეს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ჩართულობის პრინციპების სრული დაცვით;
- ასოცირების დღის წესრიგი მოითხოვს ორივე მხარის ჩართულობასა და დიალოგს ასოცირებასთან დაკავშირებულ რეფორმებთან მიმართებით;
- ასოცირების დღის წესრიგი მიზნად ისახავს ხელშესახები და განსაზღვრული მიზნების მიღწევას პრაქტიკული ღონისძიებების პროგრესულად განხორციელების გზით;
- მხარეები აღიარებენ შეთანხმებული პრიორიტეტების ხელშეწყობის მნიშვნელობას, შესაბამისი და საკმარისი პოლიტიკური, ტექნიკური თუ ფინანსური საშუალებებით;

- ასოცირების დღის წესრიგის შესრულება ითვალისწინებს მონიტორინგს, ყოველწლიურ ანგარიშგებას, მათ შორის, საერთო პროგრესის შესახებ, და შეფასებას. მიღწეული პროგრესი განხილული იქნება, მათ შორის, ასოცირების შესახებ შეთანხმებით ჩამოყალიბებული ინსტიტუციური სტრუქტურების კონტექსტში. სამოქალაქო საზოგადოება, ასევე, მოწოდებული იქნება, მისი მონიტორინგის საქმიანობის ფოკუსირება მოახდინოს ასოცირების დღის წესრიგზე;
- ევროკავშირი მხარს დაუჭერს საქართველოს ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრული მიზნებისა და პრიორიტეტების შესრულებაში. ამ მიზნით, ევროკავშირი გამოიყენებს მხარდაჭერის ყველა შესაძლო წყაროს, აგრეთვე გამოცდილებისა და რჩევების, საუკეთესო პრაქტიკისა და ცოდნა-გამოცდილების გაზიარებას და ინფორმაციის მიწოდებას, ხელს შეუწყობს შესაძლებლობათა ზრდას, ინსტიტუციურ გაძლიერებასა და დახმარების ახალი ინსტრუმენტების განვითარებას. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ევროკავშირის დახმარება ექვემდებარება ერთობლივად შეთანხმებულ მკაცრ პირობებს, რომლებიც ეხება რეფორმის პროგრესს. ევროკავშირი ასევე იმუშავებს სხვა პარტნიორებთან, რათა უზრუნველყოს საქართველოს სხვა პარტნიორების მხარდაჭერის კოორდინაცია და განამტკიცოს „ევროპის გუნდის“ (Team Europe) მხარდაჭერის კოორდინირებული მიდგომა, რომელიც აერთიანებს ევროკავშირის, მისი წევრი სახელმწიფოებისა და საფინანსო ინსტიტუტების რესურსებს. ასოცირების დღის წესრიგის შესრულების ხელშესაწყობად, ასევე, ხელმისაწვდომი იქნება ევროკავშირის შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტები. ამის მიუხედავად, წინამდებარე ასოცირების დღის წესრიგი, თავის მხრივ, არ წარმოადგენს ფინანსური პროგრამირების დოკუმენტს და არ ჩაანაცვლებს მხარეთა მიერ განსახორციელებელი პროგრამირებისა თუ ფორმულირების ღონისძიებებს.

აღიარებულია რა, რომ ასოცირების დღის წესრიგი წარმოადგენს AA/DCFTA-ის განხორციელების უმთავრეს ინსტრუმენტს, ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრული პრიორიტეტები, ასევე, ასახავს ერთობლივ კომუნიკაციაში „აღმოსავლეთ პარტნიორობა 2020 წლის შემდეგ: მედეგობის გაძლიერება – აღმოსავლეთ პარტნიორობა, რომელსაც ყველასათვის მოაქვს სარგებელი“² და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის დეკლარაციაში³ დასახულ გრძელვადიან პოლიტიკურ მიზნებს, რომლებიც საფუძვლად დაედება აღმოსავლეთ პარტნიორობის პრიორიტეტებს 2020 წლის შემდგომ პერიოდში. აღნიშნულ პრიორიტეტებს დაეფუძნება ევროკავშირის დახმარება საქართველოსთვის, როგორც ეს მითითებულია სამეზობლო, განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტში (NDICI) და 2020 წლის შემდგომი პერიოდის პროგრამირების შესაბამის დოკუმენტებში. ევროკავშირს ასევე შეუძლია უზრუნველყოს დახმარება ევროკავშირის სხვა ინსტრუმენტების საფუძველზე.

2 JOIN(2020) 7

3 <https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2021/12/15/eastern-partnership-summit-joint-declaration/>

ნებისმიერი მხარდაჭერა იქნება უზრუნველყოფილი ევროკავშირის საგარეო დახმარების განხორციელების წესებისა და პროცედურების სრული დაცვით. ევროკავშირის დახმარება განსაზღვრული იქნება მისი პირობითობითა და სტიმულირებაზე დაფუძნებული მიდგომით და დამოკიდებული იქნება შეთანხმებული რეფორმების განხორციელებაზე.

ასოცირების დღის წესრიგის პრიორიტეტები

ევროკავშირი და საქართველო საკვანძო პრიორიტეტებად მიიჩნევენ ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის შესრულებას საერთო ღირებულებებისა და პრინციპების კონსოლიდირებისა და წახალისებისთვის, როგორც ეს გაცხადებულია ევროკავშირისა და საქართველოს მიერ. ასოცირების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის დაჩქარებას.

ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, მისი ეფექტური შესრულების მიზნით, საქართველომ გადადგა არსებითი ნაბიჯები და განახორციელა მნიშვნელოვანი რეფორმები. ორივე მხარე აღიარებს საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს ევროკავშირთან უფრო ღრმა პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით, ისევე როგორც გამოწვევებს ისეთ სფეროებში როგორცაა საერთო ფუნდამენტური ფასეულობები, კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულების რეფორმა და კვლავ აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ საჭიროა შემდგომი ნაბიჯების გადადგმა არსებითი და მდგრადი პროგრესის მისაღწევად, რათა მოქალაქეებმა სრულად ისარგებლონ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით.

ფართო და ინკლუზიურ პროცესში ამბიციური პოლიტიკური, სასამართლო და ანტიკორუფციული რეფორმების მეშვეობით საქართველოს დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დღის წესრიგის განვითარება უმთავრესია ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობისთვის წინამდებარე ასოცირების დღის წესრიგის მოქმედების პერიოდში.

ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და მისი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტის ეფექტური განხორციელება, რაც უკავშირდება რეგულაციური დაახლოებისა და მასთან დაკავშირებული აუცილებელი რეფორმების უფრო ფართო პროცესს, ხელს უწყობს ევროკავშირთან გაძლიერებული ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობებისთვის შესაბამისი პირობების შექმნას, რითაც განაპირობებს საქართველოს შემდგომ ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას ევროკავშირის შიდა ბაზარზე, როგორც ეს გათვალისწინებულია ასოცირების შესახებ შეთანხმებით.

ევროკავშირი კვლავაც უცხადებს მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, მათ შორის, მის არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკას, ისევე როგორც საქართველოში მშვიდობის, სტაბილურობისა და კონფლიქტის მოგვარების ხელშეწყობის მტკიცე ვალდებულებას. გარდა ამისა, ევროკავშირი აღიარებს ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში საქართველოს მნიშვნელოვან წვლილს, მათ შორის, ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებში მონაწილეობის გზით. ევროკავშირი მზად არის, გააგრძელოს საქართველოსთან თანამშრომლობა უსაფრთხოების საკითხებში, სამეზობლოში მისი სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელების მიზნით.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა, მათ შორის, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში, ასევე მიზნად ისახავს გლობალური პოლიტიკის მრავალი მიზნის მიღწევას, მათ შორის, კლიმატის ცვლილების შესახებ პარიზის შეთანხმებას და მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგისა და მისი 17 მდგრადი განვითარების მიზნის განხორციელებას, რომელთა მიღწევის ვალდებულებაც ნაკისრი აქვს ორივე მხარეს. თანამშრომლობა გააძლიერებს საერთაშორისო წესებზე დაფუძნებულ წესრიგს და ხელს შეუწყობს მსოფლიოში უფრო ძლიერი ევროპის მშენებლობას.

ამ კონტექსტში პრიორიტეტულად უნდა იქნეს განხილული შემდეგი რეფორმის განხორციელება.

A. საკვანძო პრიორიტეტები ქმედებისთვის

1. გამძლე, მდგრადი და ინტეგრირებული ეკონომიკის სფეროში

1.1 ეკონომიკური განვითარება, ბიზნესისა და საინვესტიციო კლიმატი

მხარეები ითანამშრომლებენ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშესაწყობად საქართველოს მოქალაქეების საკეთილდღეოდ. ეს შეამცირებს სოციალურ-ეკონომიკურ და საგანმანათლებლო უთანასწორობას და გააუმჯობესებს სამუშაო პირობებს და, ამავდროულად, უზრუნველყოფს ეკონომიკის თანდათანობით დეკარბონიზაციასა და კლიმატის ნეიტრალიტეტს. გარემოებების გათვალისწინებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მოკლე და გრძელვადიანი მედეგობის გამომუშავებით COVID-19-ის პანდემიის სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებთან გამკლავებას. აღნიშნული უნდა გადაიზარდოს იმის უზრუნველყოფის ძალისხმევაში, რომ აღდგენა COVID-19-ის პანდემიის შემდეგ იქნეს მწვანე, ხოლო გარემოსდაცვითი და კლიმატთან დაკავშირებული მიზნები – მიღწეული. შრომის დაცვის მხარდაჭერასა და ღირსეული შრომის ხელშეწყობას, ასევე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მდგრადი და სამართლიანი აღდგენისთვის.

ყურადღების ცენტრში მოექცევა ბიზნესისა და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება, ყველა მეწარმისთვის თანაბარი პირობების შექმნა კანონის უზენაესობის, სამართლებრივი განსაზღვრულობისა და კორუფციის წინააღმდეგ მუდმივი ბრძოლის გზით. ეს ასევე მოიცავს კომპანიათა შორის არბიტრაჟის შემდგომ განვითარებასა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას. მნიშვნელოვანი იქნება მცირე და საშუალო საწარმოების პირდაპირი მხარდაჭერის უზრუნველყოფა, მათ შორის, მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრატეგიის განხორციელების გზით, მეწარმეობის ხელშეწყობა (ქალთა და ახალგაზრდების მეწარმეობის ჩათვლით), საქართველოს სოფლებში ფინანსური სახსრების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და კოოპერატივების გაძლიერება. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების ახალი სტრატეგიის განხორციელება ხელს შეუწყობს ღირებულებათა ეფექტიანი ჯაჭვის განვითარებას, სოფლად დასაქმების გაუმჯობესებას და მცირე და საშუალო საწარმოებს დაეხმარება შერჩეულ სექტორებში მაღალი საექსპორტო ღირებულების მხრივ მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. ეს ასევე ხელს შეუწყობს ეკონომიკის შემდგომ ინტერნაციონალიზაციასა და ევროკავშირის ღირებულებათა ჯაჭვში ინტეგრაციას. ერთიანი ევრო გადახდის სივრცეში (SEPA) გაწევრიანებაზე მუშაობა იქნება ეკონომიკური თანამშრომლობის დღის წესრიგის მთავარი ნაწილი, რომელიც მნიშვნელოვნად წახალისებს კომპანიებს და ხელშესახებ სარგებელს უზრუნველყოფს საქართველოს მოსახლეობისთვის. რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელება ხელს შეუწყობს უფრო დაბალანსებულ ტერიტორიულ განვითარებას, შეამცირებს უთანასწორობას და შექმნის, თბილისისა და ბათუმის გარდა, ახალ მიზიდულობის ცენტრებს.

ამავდროულად, მნიშვნელოვანია ძლიერი ეკონომიკური და ფისკალური მმართველობის წარმატებული გზის გაგრძელება ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე საფინანსო სექტორის მოდერნიზაციის გაგრძელება, მაგალითად, საბანკო სექტორის რეფორმის, კაპიტალის ბაზრების ხელშეწყობისა და მიკროკრედიტების გაცემის განვითარების მეშვეობით.

ევროკავშირის სტანდარტებთან შემდგომი რეგულაციური დაახლოება მნიშვნელოვანი იქნება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების სრულად განსახორციელებლად, რაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ტექნიკური რეგლამენტების შესრულებას, ბაზარზე ზედამხედველობას, სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომებს, მათ შორის, სურსათის უვნებლობას და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. საბაჟო თანამშრომლობის სტრატეგიული ჩარჩოს განხორციელებას,

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებასა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ კანონის სრულ განხორციელებას ვაჭრობის ზრდისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

მხარეები აღიარებენ ასოცირებული ტრიოს ინიციატივას ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავების თაობაზე და მხედველობაში იღებენ ერთმანეთს შორის კოორდინაციის გაძლიერებას ასოცირების შესახებ შეთანხმებებისა და DCFTA კომპონენტების განხორციელებასთან დაკავშირებულ საერთო ინტერესის საკითხებზე, აგრეთვე აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

1.2 კავშირების გაუმჯობესება

მხარეები ითანამშრომლებენ ევროკავშირსა და საქართველოს შორის (სატრანსპორტო, ენერგეტიკული და ციფრული) კავშირების გასაუმჯობესებლად, კერძოდ, შავი ზღვის გავლით.

ტრანსპორტის სფეროში ისინი განახორციელებენ ურთიერთსასარგებლო სტრატეგიულ პროექტებს, მათ შორის, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში, აგრეთვე პროგრესულად დაასრულებენ გაფართოებულ საორიენტაციო ტრანსევროპულ სატრანსპორტო ქსელს (TEN-T) და წახალისებენ მულტიმოდალურ სატრანსპორტო გადაწყვეტილებებს. მხარეები დამატებით ითანამშრომლებენ ტრანსპორტის ყველა სახეობასთან (საჰაერო, საავტომობილო, საზღვაო, სარკინიგზო) დაკავშირებული ევროკავშირის კანონმდებლობის განხორციელების მიმართულებით, ფიზიკური კავშირის და ასევე მასთან დაკავშირებული სტანდარტებისა და მარეგულირებელი და უსაფრთხოების ასპექტების (კერძოდ, საგზაო უსაფრთხოების) გაუმჯობესების მიზნით, და ამავდროულად ხელს შეუწყობენ მწვანე ტრანსპორტის საშუალებებზე მეტი ყურადღების გამახვილებას.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება საქართველოს ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებასთან მიერთებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებას, კერძოდ, ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და ენერგოეფექტურობის სფეროში მარეგულირებელი რეფორმებისა და ინვესტიციების გზით, ახალი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ქსელებისა და ურთიერთკავშირების გაძლიერებასა და განვითარებას, აგრეთვე ელექტროენერჯისა და აირის ენერგობაზრების გამჭვირვალობისა და სათანადო ფუნქციონირების გაუმჯობესებას.

1.3 განათლება და ახალგაზრდების დასაქმება, კვლევა და ინოვაცია

მხარეები იმუშავენ ერთობლივად ადამიანებში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, ინვესტიციების განსახორციელებლად, დასაქმების შესაძლებლობის გასაზრდელად და, ამავდროულად, ღირსეული სამუშაო

ადგილების და შრომის ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად. საქართველო გააუმჯობესებს საკუთარ მაჩვენებლებს განათლებისა და კვლევის სფეროში ყოვლისმომცველი რეფორმის გზით, რომელიც ფოკუსირებული იქნება განათლების ყველა საფეხურის ეფექტიანობაზე, თანაბარ ხელმისაწვდომობასა და ხარისხზე. აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლა საქართველოში შეიძლება გახდეს ხარისხიანი განათლების მისაბამი მაგალითი, რომელიც შესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

გარდა ამისა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება იმის უზრუნველყოფას, რომ სასწავლო გეგმა აკმაყოფილებდეს შრომის ბაზრის საჭიროებებს, რათა აღმოიფხვრას ხარვეზები უნარებში და მოხდეს უნარების სამუშაო ადგილებთან უკეთესად გათანაბრება. პრიორიტეტული იქნება შრომის ბაზარზე წვდომის გაზრდა, მათ შორის, ქალებისა და მოწყვლად სიტუაციებში მყოფი პირებისთვის. ამასთან, გაგრძელდება დასაქმების პოლიტიკისა და დასაქმების სერვისების გაუმჯობესება.

მხარეები გააგრძელებენ კვლევისა და ინოვაციების პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობას; შეეცდებიან, პოლიტიკის რეფორმების მეშვეობით წახალისონ კვლევისა და ინოვაციების უფრო მძლავრ ეკოსისტემებში ინვესტირება, რაც გაზრდის კვლევისა და ინოვაციების მთლიან ხარჯებს; აგრეთვე ხელს შეუწყობენ მწვანე და ციფრულ გადასვლას ჰკვიანი სპეციალიზაციის სტრატეგიების და ტექნოლოგიის გადაცემის გამოყენების გზით საჭიროებისდა მიხედვით.

2. ანგარიშვალდებული ინსტიტუტების, კანონის უზენაესობისა და უსაფრთხოების სფეროში

2.1 კანონის უზენაესობა, მართლმსაჯულებების რეფორმა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

მხარეები იმუშავენ ერთობლივად კანონის უზენაესობის პრინციპების დასაცავად, განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობენ მართლმსაჯულების სექტორსა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას. სასამართლო რეფორმების მესამე და მეოთხე ტალღების სრულად განხორციელებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებისთვის, მათ შორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სასამართლო ხელისუფლების სხვა ძირითადი ინსტიტუტების ინსტიტუციური წყობისა და პრაქტიკის გაძლიერების, გამჭვირვალობის და დამსახურებაზე დაფუძნებული შერჩევისა და დაწინაურების პროცესების გაუმჯობესების გზით, ვენეციის კომისიის და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) რეკომენდაციების შესაბამისად.

საქართველო გააგრძელებს სასამართლო რეფორმას, მათ შორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრიორიტეტის სახით, და 2021 წლის შემდგომი პერიოდისთვის მიიღებს სასამართლო რეფორმის ამბიციურ სტრატეგიას ფართო, ინკლუზიური და პარტიების ჩართულობით მიმდინარე რეფორმების პროცესის მეშვეობით, რაც ასევე მოიცავს სასამართლო რეფორმის მესამე და მეოთხე ტალღების ეფექტურობის შეფასებას. საქართველო პრიორიტეტულად გააგრძელებს მუშაობას „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის ვენეციის კომისიის შესაბამის რეკომენდაციებთან⁴ შესაბამისობაში მოსაყვანად და გადასინჯული კანონის მოქმედები ყველა მომავალ დანიშვნაზე სრულად გასავრცელებლად.

გარდა ამისა, უნდა გამოქვეყნდეს მოსამართლეთა დანიშვნის მაღალი ხარისხის დასაბუთება და მიღებული იქნეს სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა.

საქართველო გადახედავს გენერალური პროკურორის დანიშვნის პროცესს პროკურატურის/პროკურორის თანამდებობის დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად. ამ მიზნით დაინერგება პარლამენტში კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრა, რაც ამ მხრივ ვენეციის კომისიის მთავარ რეკომენდაციას წარმოადგენს. ეს მოიცავს გამოუვალ სიტუაციების თავიდან აცილების ეფექტურ მექანიზმს, რომელიც სარგებლობს პარტიების ფართო მხარდაჭერით და შეესაბამება ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს. დაინერგება დამატებითი გარანტიები იმის უზრუნველსაყოფად, რომ შერჩევისა და დასახელების პროცესი იყოს გამჭვირვალე და კეთილსინდისიერების, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებზე დაფუძნებული.

საჭირო იქნება სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულებისა და დემოკრატიული ზედამხედველობის შემდგომი გაძლიერება.

საქართველო გააგრძელებს ამბიციური პროგრესისკენ სწრაფვას კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის, მათ შორის, კორუფციის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლაში, და გააძლიერებს კორუფციის პრევენციის მექანიზმებს, მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში.

3. გარემოსა და კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობის სფეროში

⁴ 2019 წლის 21-22 ივნისს ვენეციის კომისიის მიერ დამტკიცებული ევროპის საბჭოს ევროპული კომისიის „დემოკრატია სამართლის მეშვეობით“ (ვენეციის კომისიის) გადაუდებელი დასკვნა „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის შესახებ“; ევროპის საბჭოს ევროპული კომისიის „დემოკრატია სამართლის მეშვეობით“ (ვენეციის კომისიის) გადაუდებელი დასკვნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც ვენეციის კომისიის მიერ დამტკიცებულია 2021 წლის 2-3 ივლისს.

3.1 გარემოსა და კლიმატთან დაკავშირებული ქმედება

მხარეები იმუშავებენ ერთობლივად გარემოსა და კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობის მიღწევის მიმართულებით, თანამედროვე, რესურსდამზოგველი, სუფთა და წრიული ეკონომიკის ხელშეწყობის გზით, მათ შორის, COVID-19-ის პანდემიის შემდგომი აღდგენის ძალისხმევის ფარგლებში, რაც განაპირობებს ეკონომიკის გამწვანებასა და ბუნებრივი რესურსების უფრო მდგრად გამოყენებას ევროპის მწვანე შეთანხმების შესაბამისად. ეს მიიღწევა, მათ შორის, გარემოსა და კლიმატთან დაკავშირებული ქმედების შესახებ ასოცირების შესახებ შეთანხმების თავების განხორციელების მიზნით უწყვეტი ადმინისტრაციული რეფორმების ჩატარებითა და ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერებით. გარდა ამისა, ევროკავშირსა და საქართველოს შორის დიალოგს გარემოსა და კლიმატის საკითხებზე ხელი შეეწყობა ასოცირების შესახებ შეთანხმების არსებული სტრუქტურების ფარგლებში. ამ მიმართულებით მჭიდრო კონსულტაციები გაიმართება სამოქალაქო საზოგადოებასთან.

ემისიების შემცირებისა და კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობის მიზნები, პარიზის შეთანხმების შესაბამისად, ინტეგრირებული იქნება საერთო ეკონომიკურ და სატრანსპორტო პოლიტიკაში კლიმატის ცვლილების გავლენის შემცირებისა და მოქალაქეებისთვის სარგებლის უზრუნველყოფის მიზნით. ამ კონტექსტში საქართველო წარადგენს სათბურის გაზების დაბალემისიანი განვითარების გრძელვადიან სტრატეგიას გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩოკონვენციისთვის (UNFCCC) წარსადგენად და განაახლებს თავის „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) დოკუმენტს“ პარიზის შეთანხმებასთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

მეტი ყურადღება დაეთმობა მდგრადი სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის უზრუნველყოფასა და ხელშეწყობას, მათ შორის, შავი ზღვისთვის საერთო საზღვაო დღის წესრიგის⁵ ლურჯი ეკონომიკის ფარგლებში, აგრეთვე ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების დაცვას, მათ შორის, შავი ზღვის რეგიონშიც.

გარემოსდაცვითი მმართველობა გაძლიერდება გარემოზე ზემოქმედების შეფასებასა და სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის განხორციელებით, გარემოსდაცვით პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ახალი კანონმდებლობის მიღებითა და განხორციელებით და ასევე საზოგადოებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფით. ჰაერისა და წყლის ხარისხის გაუმჯობესება, ისევე როგორც

⁵ 2019 წლის 21 მაისი, ბუქარესტის მინისტრიალის დეკლარაცია შავი ზღვისთვის საერთო საზღვაო დღის წესრიგის შესახებ - (შავი ზღვა (europa.eu)).

ნარჩენების უკეთ მართვა ევროპული სტანდარტების შესაბამისად, არა მხოლოდ შეუწყობს ხელს გარემოს გაუმჯობესებას, არამედ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე. ამ ფონზე გაძლიერდება მხარეებს შორის თანამშრომლობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში.

3.2 საზოგადოებრივი ჯანდაცვა

მხარეები იმუშავებენ ერთობლივად ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად და მთელს საზოგადოებაში ადამიანებისთვის წვდომის ხელშესაწყობად, მათ შორის, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გავრცელების გაუმჯობესებისა და ელექტრონული ჯანდაცვის მეშვეობით. დიდი მნიშვნელობა მიენიჭება ჯანმრთელობის პროფილაქტიკასა და თამბაქოს კონტროლს. სამედიცინო დაწესებულებები და მათი ანგარიშვალდებულება გაძლიერდება ხარისხის მაჩვენებლების დადგენის, ღირებულებაზე დაფუძნებული შესყიდვების და ხარისხის მართვის სხვა პროცესების მეშვეობით. მნიშვნელოვანი იქნება გადამდებ და არაგადამდებ დაავადებებთან დაკავშირებით ეფექტური ზომების მიღება და, ზოგადად, გარე გამოწვევების მიმართ, როგორცაა პანდემია, ჯანდაცვის სისტემის მდგრადობის ამაღლება.

4. მდგრადი ციფრული ტრანსფორმაციის სფეროში

4.1 ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარება

მხარეები იმუშავებენ ერთობლივად ციფრული ინფრასტრუქტურის დანერგვის შემდგომი წახალისებისა და ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერის გზით საქართველოს ზრდისა და მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების ეროვნული სტრატეგიის განხორციელების საფუძველზე და ევროკავშირის კანონმდებლობისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, განსაკუთრებით ციფრული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებასთან მიმართებით. COVID-19-ის პანდემიამ ნათელი მოჰფინა საზოგადოებებში ციფრულ დაყოფასა და ამ ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობის გადაუდებელ აუცილებლობას. ელექტრონული ჯანდაცვის, დისტანციური სწავლების, ტელემედიცინის, ვირუსებისთვის თვალის მიდევნებისა და დეზინფორმაციის თავიდან აცილების გადაწყვეტილებები არა მხოლოდ სასარგებლო იქნება პანდემიის დროს, არამედ ხელს შეუწყობს ევროკავშირის ყველა პარტნიორის მედეგობასა და განვითარებას მომდევნო წლების განმავლობაში. მნიშვნელოვანი იქნება ციფრული ეკონომიკისა და ინოვაციების სტიმულირება შესაბამისი პოლიტიკის მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს და უფრო მეტად გაამრავალფეროვნებს როგორც IT-ინდუსტრიას, ისე კრეატიულ ინდუსტრიებსაც და გაძლიერებს მათ კონკურენტუნარიანობას, ხელს შეუწყობს

დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ზრდასა და ფუნქციონირების გაგრძელებას და გააციფრულებს ღირებულებათა ჯაჭვს.

4.2 ელექტრონული მმართველობა და ციფრული სერვისები

ამავდროულად, საჭიროა ელექტრონული მმართველობისა და ციფრული სერვისების განვითარების გაგრძელება საჯარო მმართველობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გასაზრდელად. ეს უნდა მოხდეს საერთო მოსახლეობის ფართო ფენების ციფრული უნარებისა და ელექტრონული წიგნიერების განვითარების პარალელურად. ამ მიზნით, საქართველოს მასშტაბით ადამიანებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ინტერნეტზე და სხვა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებაზე ხელმისაწვდომ ფასად. მხარეები იმუშავებენ ერთობლივად ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ადმინისტრაციული შესაძლებლობებისა და დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად, რაც აუცილებელი პირობაა შესაბამისი ბაზრის გამართული ფუნქციონირებისთვის. გარდა ამისა, ევროკავშირი მხარს დაუჭერს საქართველოსა და აღმოსავლეთის სხვა პარტნიორ ქვეყნებს შორის და, საჭიროების შემთხვევაში, ევროკავშირთან როუმინგის და სპექტრის შეთანხმებების განხორციელებას.

4.3 კიბერმდგრადობა

მხარეები იმუშავებენ ერთობლივად კიბერმდგრადობის გასაძლიერებლად და უზრუნველყოფენ ევროკავშირის კანონმდებლობასა და საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებულ კიბერუსაფრთხოების ძლიერ სამართლებრივ, პოლიტიკურ და ოპერაციული ჩარჩოს, ევროკავშირის კიბერუსაფრთხოების სერტიფიცირების ჩარჩოს ჩათვლით. ამ ფარგლებში მხარეები გააგრძელებენ მუშაობას საქართველოს კანონმდებლობის ქსელისა და ინფორმაციული უსაფრთხოების დირექტივასთან შემდგომ დაახლოებაზე.

მხარეები ითანამშრომლებენ საქართველოს მიერ ელექტრონული იდენტიფიკაციის სქემების და ელექტრონულ სანდო მომსახურების სამართლებრივი ჩარჩოების დანერგვის მიმართულებით, ევროკავშირის კანონმდებლობისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, სანდო მომსახურებასთან დაკავშირებით ურთიერთაღიარების შესაძლო შეთანხმების მიზნით.

5. მდგრადი, სამართლიანი და ჩართული საზოგადოებების სფეროში

5.1 ადამიანის უფლებების გათვალისწინება და სამოქალაქო საზოგადოებისა და ახალგაზრდების უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოება

ორივე მხარე ხელს შეუწყობს კარგ მმართველობას, ადამიანის უფლებების დაცვას, კანონის უზენაესობას, დისკრიმინაციის აკრძალვას, ღირსეულ შრომას და ასევე ძირითად ღირებულებებსა და ჰუმანიტარულ პრინციპებს COVID-19-ის პანდემიის საპასუხოდ და მის შემდეგ აღდგენის მიზნით.

საქართველო მხარს დაუჭერს მედიის თავისუფლებას, დამოუკიდებლობასა და პლურალიზმს ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტების დაცვისა და თავისუფალი, პროფესიული, პლურალისტური, დამოუკიდებელი და ჯანსაღი მედიაგარემოსთვის პირობების შექმნის გზით. მხარეები ასევე ითანამშრომლებენ სტრატეგიული კომუნიკაციის, მათ შორის, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის გასაძლიერებლად და მედიაწიგნიერების ხელშეწყობისათვის.

ორივე მხარე ითანამშრომლებს ანტიდისკრიმინაციული კანონის უკეთ განხორციელების უზრუნველყოფის, ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი ეროვნული სტრატეგიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების და მედიის პლურალიზმისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის, ისევე როგორც შეკრების თავისუფლების უფლების დაცვის მიზნით. საქართველო უზრუნველყოფს საჭირო საბიუჯეტო და ადამიანური რესურსების გამოყოფას სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი სამართალდარღვევების ეფექტური და სწრაფი გამოძიების და ასევე პერსონალური მონაცემების დამუშავების ეფექტიანი კონტროლის მიზნით.

ძირითადი პრიორიტეტები იქნება სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში გენდერული თანასწორობის გაძლიერება და თანაბარი მოპყრობის უზრუნველყოფა, აგრეთვე საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის მიკუთვნებული პირების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და ლგბტი პირების უკეთესი ინტეგრაცია, არადისკრიმინაცია და მათ მიმართ მეტი შემწყნარებლობა. ყურადღება ასევე დაეთმობა ბავშვების ყველა ფორმის ძალადობისგან დაცვას. გაგრძელდება ძალისხმევა პერსონალურ მონაცემთა მაღალ დონეზე დაცვის უზრუნველსაყოფად.

ევროკავშირი და საქართველო ასევე ყურადღებას გაამახვილებენ უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოების გზით ახალგაზრდების მონაწილეობასა და ლიდერობაზე. მხარეები დამატებით ითანამშრომლებენ საქართველოსთვის პროგრამებთან „ჰორიზონტი 2020“ და „ჰორიზონტი ევროპა“ ასოცირების სარგებლის მაქსიმალურად გაზრდის მიმართულებით, აგრეთვე დამატებით

წახალისებენ საქართველოს ისედაც აქტიურ მონაწილეობას Erasmus+-ისა და ევროპის სოლიდარობის კორპუსის პროგრამებში, ისევე როგორც მოხალისეობრივ, თანამშრომლობით და გაცვლით პროგრამებსა და ინიციატივებში, მოლაპარაკებებისა და შესაბამისი პროგრამების მიღების შედეგების შესაბამისად.

საქართველო გააგრძელებს ახალგაზრდული სექტორის და მტკიცებულებებზე და უფლებებზე დაფუძნებული ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებას ახალგაზრდობის განვითარებისთვის მდგრადი ეკოსისტემის შექმნის მიზნით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ახალგაზრდებს, გამოიყენონ თავიანთი პოტენციალი და აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში; რომელიც გაზრდის ახალგაზრდებში დემოკრატიული ღირებულებებისა და პრინციპების გაგებას და მხარს დაუჭერს მათ, რომ მოითხოვონ საკუთარი უფლებების დაცვა; აგრეთვე საქართველოში ყველა ახალგაზრდისთვის სრული და თანაბარი ეკონომიკური გაძლიერების, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვის და ინფორმაციისა და რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობის მიზნით.

საქართველო გააგრძელებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (CSO) საქმიანობისთვის უსაფრთხო, ინკლუზიური და ხელშემწყობი გარემოს წახალისებას, მათ შორის, ისეთი პოლიტიკის ადაპტაციას, რომელიც ხელს შეუწყობს მათ ფინანსურ მდგრადობასა და სამოქალაქო საზოგადოების სექტორის შემდგომ განვითარებას, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე. საქართველო ასევე წახალისებს კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასა და სოციალურ მეწარმეობას, რაც მიზნად ისახავს სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრას, და განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, დასაქმებასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის გაძლიერებას.

საქართველო უზრუნველყოფს უმაღლეს დემოკრატიულ სტანდარტებს საარჩევნო პროცესის განმავლობაში, სარჩელებისა და სააპელაციო საჩივრების სამართლიან, გამჭვირვალე და გულდასმით განხილვას, აგრეთვე გააგრძელებს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის პრიორიტეტული რეკომენდაციების სრულ გათვალისწინებას და მისი სხვა რეკომენდაციების გათვალისწინებაში⁶ მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევას ინკლუზიური დიალოგის გზით. საქართველო ასევე უზრუნველყოფს პარტიულ პლურალიზმს და თავს შეიკავებს საერთაშორისო სტანდარტების საწინააღმდეგო

6 მკ., <https://www.osce.org/files/f/documents/1/4/480500.pdf> and <https://www.osce.org/odihr/elections/georgia/496309>

შეზღუდვებისგან, განსაკუთრებით რეგისტრაციასა და დაფინანსებასთან დაკავშირებით, ვენეციის კომისიის შესაბამისი დასკვნების⁷ შესაბამისად.

5.2 საჯარო მმართველობის გაძლიერება

ღია მმართველობის მექანიზმების მეშვეობით საჯარო მმართველობის რეფორმის განვითარება უმთავრეს პრიორიტეტად რჩება. ევროკავშირი და საქართველო ერთობლივად იმოქმედებენ საჯარო მმართველობის ევროპული პრინციპებსა და სტანდარტების დასაცავად და წასახალისებლად. ამ მიზნით, მხარეები გააერთიანებენ თავიანთ ძალისხმევას ანგარიშვალდებული, ეფექტიანი, ეფექტური, ღია და გამჭვირვალე მმართველობის ხელშესაწყობად, დამსახურებაზე დაფუძნებული და პროფესიონალური საჯარო სამსახურის ჩამოსაყალიბებლად და ხარისხიანი სახელმწიფო სერვისების და ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველსაყოფად.

მხარეები იმუშავებენ ერთობლივად, რათა პრიორიტეტულად შეუწყონ ხელი ანგარიშვალდებულ, ეფექტიან, ეფექტურ, გამჭვირვალე და მოქალაქეებზე ორიენტირებულ საჯარო მმართველობას, დამსახურებაზე დაფუძნებული და პროფესიონალური საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისა და ქვეყნის მასშტაბით ხარისხიანი სახელმწიფო სერვისების და ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფის გზით.

5.3 მობილობა, უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ჩათვლით

საქართველო განახორციელებს უწყვეტ ქმედებას და გაითვალისწინებს უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ფარგლებში მომზადებულ ანგარიშებში წარმოდგენილ რეკომენდაციებს, რათა ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შესანარჩუნებლად უზრუნველყოს ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის⁸ შესაბამისი ნიშნულების უწყვეტი შესრულება. უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ფარგლებში ევროკომისიის მიერ მომზადებული ყოველწლიური ანგარიშებით გაგრძელდება სახელმძღვანელო მითითებების მიწოდება შემდგომ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც საჭიროა მიღწეული პროგრესი მდგრადობის უზრუნველსაყოფად. საქართველო განახორციელებს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიას და 2021-2025 წლების სახელმწიფო საზღვრის ერთიანი მართვის სტრატეგიას.

6. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში

7 მაგ., 2021 წლის 20 მარტის ერთობლივი დასკვნა საარჩევნო კოდექსის 791-ე მუხლის პროექტის შესახებ, ვენეციის კომისიის დასკვნა No. 1019/2021/ODIHR, Opinion Nr ELE-GEO/407/2020; 2021 წლის 5 ივლისის გადაუდებელი ერთობლივი დასკვნა საარჩევნო კოდექსში ცვლილებების გადასინჯული პროექტის შესახებ, ვენეციის კომისიის დასკვნა No. 1043/2021/ODIHR Opinion Nr ELE-GEO/417/2021.

8 https://ec.europa.eu/home-affairs/policies/international-affairs/collaboration-countries/visa-liberalisation-moldova-ukraine-and-georgia_en.

6.1 კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება

მხარეები შეინარჩუნებენ ეფექტურ თანამშრომლობას, რათა მხარი დაუჭირონ საქართველოს ძალისხმევას, მიაღწიოს პროგრესს საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე კონფლიქტის მშვიდობიანი და მდგრადი მოგვარების მიმართულებით, აგრეთვე ხელი შეუწყონ საქართველოში ხანგრძლივი მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარებას. ისინი გააგრძელებენ ძალისხმევას მობილიზებას საქართველოში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების, მათ შორის, ევროკავშირის შუამავლობით 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების საკითხის წასახალისებლად. საქართველო გააგრძელებს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების სტრატეგიული ხედვის შემუშავებას ინკლუზიური ეროვნული პროცესის წარმართვის მეშვეობით. მხარეები გააძლიერებენ ძალისხმევას ხელშესახები შედეგების მისაღწევად ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში, რომელსაც თანათავმჯდომარეობენ ევროკავშირი, გაერო და ეუთო, რათა მოძებნონ მოუგვარებელ კონფლიქტთან დაკავშირებული უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტილებები. ადგილზე მოქმედი ევროკავშირის სხვადასხვა სუბიექტი, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი (EUSR) და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია გააგრძელებენ სტაბილურობის, ნორმალიზების, ნდობის აღდგენისა და კონფლიქტის მოგვარების ხელშეწყობას. შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგმება ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლების მიმდებარედ ვაჭრობის, მიმოსვლის თავისუფლებისა და ეკონომიკური კავშირების წახალისების მიზნით, მათ შორის, მოქმედი კანონმდებლობის გადახედვა საჭიროებისამებრ და სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ მეშვეობით; დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის ხალხთაშორისი კონტაქტების, ნდობის აღდგენისა და შერიგების ხელშეწყობა. მხარეები გააგრძელებენ თანამშრომლობასა და პრევენციული ძალისხმევის გაწევას საერთაშორისო არენაზე არალიარების პოლიტიკის შემდგომი კონსოლიდაციის მიზნით.

6.2 თანამშრომლობა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში

მხარეები გააღრმავებენ ორმხრივ დიალოგს უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებზე საერთო ინტერესებში შემავალ საკითხთა მოსაგვარებლად, კონფლიქტის პრევენციის, კრიზისების მართვის, ტერორიზმის, ფულის გათეთრების, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და ნარკოტიკული დანაშაულების საკითხების ჩათვლით. ჰიბრიდული საფრთხეების კვლევის შედეგად მომზადებული რეკომენდაციების საფუძველზე გაძლიერდება თანამშრომლობა ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის სფეროში. მხარეები

იმუშავებენ ერთობლივად უსაფრთხოების სექტორის რეფორმის განხორციელებისა და კიბერმდგრადობისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის სფეროში შესაბამისი ჩარჩოებისა და პროცედურების დანერგვის უზრუნველყოფის მიზნით. იუსტიციისა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო გაძლიერდება. ევროკავშირი ასევე გააგრძელებს საქართველოს მონაწილეობის წახალისებას ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებში და ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკასთან (CSDP) დაკავშირებულ ტრენინგებსა და საკონსულტაციო ღონისძიებებში.

B. ასოცირების შესახებ შეთანხმების მოკლევადიანი და საშუალოვადიანი პრიორიტეტები

1. დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კარგი მმართველობა

წინამდებარე ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში რეფორმებისკენ მიმართული პოლიტიკური დიალოგი და თანამშრომლობა მიზნად ისახავს ისეთი დემოკრატიული პრინციპების დაცვის გაძლიერებას, როგორცაა პოლიტიკური პლურალიზმი, საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უფლებამოსილებათა გამიჯვნა და ოპოზიციასთან თანამშრომლობა, კანონის უზენაესობა და კარგი მმართველობა, ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები. აღნიშნული მოიცავს გაეროსა და ევროპის საბჭოს ძირითადი კონვენციებითა და შესაბამისი ოქმებით განმტკიცებულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლებებს და ადგილობრივი პოლიტიკური რეფორმების განმტკიცების ხელშეწყობას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ეფექტიან აღსრულებას და შიდა პოლიტიკური რეფორმების კონსოლიდირებას, კერძოდ ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების გზით.

დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის, აგრეთვე გენდერული თანასწორობის და ანტი-დისკრიმინაციის უზრუნველყოფის ინსტიტუტების სტაბილურობის, დამოუკიდებლობის, ეფექტურობისა და შესაბამისი დაფინანსების გაძლიერება, განსაკუთრებით შემდეგი გზით:

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- გამჭვირვალე, ინკლუზიური და სანდო არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის გაგრძელება, მათ შორის, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მიერ გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის გზით;
- კანონის უზენაესობის საკვანძო კომპონენტებზე, როგორცაა სასამართლოს დამოუკიდებლობა, გავლენის მომხდენი საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით ყოვლისმომცველი და ინკლუზიური კონსულტაციების

ჩატარებისა და აღნიშნული ცვლილებების ევროპულ სტანდარტებთან, ისევე როგორც ისეთი საერთაშორისო ორგანოების მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებთან, შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველყოფა, როგორცაა ვენეციის კომისია, კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფი (GRECO) და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი.

- საჯარო მმართველობისა და ღია მმართველობის რეფორმების უწყვეტობისა და ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფა საჯარო მმართველობის ევროპული პრინციპებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად; სამოქალაქო საზოგადოებასა და მთავრობას შორის მონაწილეობისა და ღია დიალოგის წახალისება, პოლიტიკის შემუშავებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში ერთობლივი შექმნის პროცესის გაძლიერება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა; ინოვაციური მიდგომების ხელშეწყობა ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების, ურთიერთსწავლების გაღრმავებისა და უწყვეტი თანამშრომლობის გზით როგორც პოლიტიკურ, ისე ექსპერტთა დონეზე;
- დიალოგი და თანამშრომლობა ასევე მოიცავს მართლმსაჯულების სექტორის გაძლიერებას მართლმსაჯულების სექტორის რეფორმის გაგრძელების გზით, კერძოდ, მოსამართლეთა სრული გარე და შიდა დამოუკიდებლობის და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფის, მათ შორის, ყოვლისმომცველი თანამშრომლობის გზით.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- ადამიანის უფლებათა დაცვის ჩარჩოს გაძლიერების უწყვეტობის უზრუნველყოფა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და ევროპული სამართლისა და პრაქტიკის ჰარმონიზაციისა და პრაქტიკული განხორციელების გზით.

1.1 მართლმსაჯულების სექტორი

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- სასამართლო რეფორმების მესამე და მეოთხე ტალღების ეფექტიანი განხორციელება ყველა ასპექტში.
- სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმების ეფექტიანი განხორციელება ყველა ასპექტში და 2021 წლის შემდგომი პერიოდის სასამართლო რეფორმის ამბიციური სტრატეგიის მიღება ფართო, ინკლუზიური და პარტიების ჩართულობით მიმდინარე რეფორმის პროცესის და სასამართლო რეფორმების მესამე და მეოთხე ტალღების ეფექტიანობის შეფასების საფუძველზე.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და სასამართლო ხელისუფლების სხვა ძირითადი ინსტიტუტების ინსტიტუციური წყობისა და პრაქტიკის გაძლიერება და არსებითი რეფორმირება, მათ მიერ მიღებული ნორმებისა და გადაწყვეტილებების, მათ შორის, დანიშვნის, შეფასების, დაწინაურების, თანამდებობიდან გადაყვანისა და დისციპლინური სახდელების შესახებ გადაწყვეტილებების გამჭვირვალობის, კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების ეფექტიანად გაზრდის მიზნით. ვენეციის კომისიისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისისთვის რეფორმების შესახებ წინადადებების წარდგენა დასკვნის მიღების მიზნით და მათი რეკომენდაციების შესრულება.
- კერძოდ, მოსამართლეთა დანიშვნისა, მათ შორის, უზენაეს სასამართლოში, და დაწინაურების გამჭვირვალე და მერიტოკრატიული სამართლებრივი ჩარჩოსა და პრაქტიკის უზრუნველყოფა მათი ევროპულ სტანდარტებსა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანის გზით;
- მოსამართლეთა დანიშვნის წერილობითი დასაბუთების გამოქვეყნება კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების მითითებით.
- მოსამართლეობის კანდიდატების, მოსამართლეებისა და სასამართლოს პერსონალის ტრენინგის გაუმჯობესება ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების გზით;
- მართლმსაჯულების განხორციელების მოდერნიზაცია სასამართლოებში ელექტრონული წარდგინებებისა და სასამართლოებთან ელექტრონული კომუნიკაციის, ისევე როგორც საქმეთა ელექტრონული მართვის შემდგომი უზრუნველყოფით; შემთხვევითობის პრინციპით საქმეთა ელექტრონული განაწილების გამოყენების გაფართოება;
- პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა უწყებების სისხლის სამართლის საგამოძიებო სერვისების რეფორმის გაგრძელება, რომელიც მიზნად ისახავს ნებისმიერი არასათანადო გავლენისგან თავისუფალი პროკურატურისა და სისხლის სამართლის საგამოძიებო საქმიანობის დამოუკიდებლობისა და პროფესიონალიზმის, მეტი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას;
- საქართველო გადახედავს გენერალური პროკურორის დანიშვნის პროცესს პროკურატურის/პროკურორის თანამდებობის დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად. ამ მიზნით დაინერგება პარლამენტში კვალიფიციური უმრავლესობით კენჭისყრა, რაც ამ მხრივ ვენეციის კომისიის მთავარ რეკომენდაციას წარმოადგენს. ეს მოიცავს გამოუვალი სიტუაციების თავიდან აცილების ეფექტურ მექანიზმს, რომელიც სარგებლობს პარტიების ფართო მხარდაჭერით და შეესაბამება ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს. დაინერგება დამატებითი გარანტიები იმის უზრუნველსაყოფად, რომ შერჩევისა და დასახელების პროცესი იყოს გამჭვირვალე და

კეთილსინდისიერების, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებზე დაფუძნებული.

- სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმის დანერგვა კანონის მოდერნიზაციისა და მისი შესაბამის ევროკავშირისა და საერთაშორისო ვალდებულებებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით; სისხლის სამართლის პროცესების ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ გამოყენებულ პროცესებთან დაახლოება:
 - საპროცესო შეთანხმების გამოყენების და საპროცესო შეთანხმების დადებისას სამართლებრივი გარანტიების გადახედვა;
 - სისხლის სამართლის პროცესში სამართალდამრღვევთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების გარანტირება და აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპების გამოყენების გაუმჯობესების გაგრძელება როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისთვის;
 - მსხვერპლთათვის, მათ შორის, სიძულვილის დანაშაულის მსხვერპლთათვის, სასამართლოს ხელმისაწვდომობის, კომპენსაციის, სრული მხარდაჭერისა და დაცვის უზრუნველყოფა;
 - ადმინისტრაციულ პროცესში დაკავებულების საპროცესო უფლებების გაძლიერება და სამართლებრივი გარანტიების უზრუნველყოფა.
- მაღალი ხარისხის უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გაფართოება;
- მედიაციის გამოყენებისა და ხარისხის გაუმჯობესება; სამომხმარებლო არბიტრაჟის ხარვეზების აღმოფხვრა და კომპანიათაშორისი არბიტრაჟის უფრო ფართოდ გამოყენებისთვის პირობების შექმნა;
- დანაშაულის პრევენციისა და პენიტენციური სტრატეგიის განხორციელების გაღრმავება, განსაკუთრებით პენიტენციურ, დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის სისტემებში და გათავისუფლების შემდგომი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიდგომათა გამოყენების გზით.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენება მხოლოდ სათანადოდ დასაბუთებულ შემთხვევებში. ადმინისტრაციულ პატიმრობაზე ფარდებულ პირთა საპროცესო უფლებების უზრუნველყოფა ადამიანის უფლებათა და სამართლიანი სასამართლოს უფლების პრინციპების დაცვით. ამასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა;
- კანონმდებლობის მოდერნიზაცია კომერციულ, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სფეროებში ეროვნული სტრატეგიების შესაბამისად და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებით;

- მართლმსაჯულების ინკლუზიური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სათანადოდ დაფინანსებული და დაკომპლექტებული იურიდიული დახმარების სამსახურის მეშვეობით;
- პროკურორებსა და სისხლის სამართლის გამომძიებლებს შორის ფუნქციების სწორად გამიჯვნა, აგრეთვე კანონმდებლობასა და პრაქტიკაში დაბალანსებული თანამშრომლობის მექანიზმების ჩამოყალიბება;
- ადამიანის უფლებების დაცვის გარანტირებასთან ერთად საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

1.2 ანტიკორუფცია, თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა, საჯარო მმართველობის რეფორმა და საჯარო სამსახური

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- 2020 წლის შემდგომი პერიოდისთვის ახალი ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება და ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფა კორუფციის ყველა ფორმის პრევენციის, გამოვლენისა და აღმოფხვრის მიზნით.
- კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული ინსტიტუტების გაძლიერება მათ საზედამხედველო ფუნქციებთან მიმართებით: საჯარო სამსახურის ბიუროს – ქონებრივ დეკლარაციებთან მიმართებით; სახელმწიფო აუდიტის სამსახურის – ეროვნული და ადგილობრივი ხარჯებისა და შემოსავლების აუდიტთან დაკავშირებით; კონკურენციის სააგენტოს; პარლამენტის საზედამხედველო და მონიტორინგის ფუნქციის დარგობრივი კომიტეტების შესაძლებლობების გაუმჯობესებით; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან არსებული ანტიკორუფციული სამდივნოს; ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო საკონსულტაციო საბჭოების;
- კორუფციასთან ბრძოლის გაგრძელება როგორც რეპრესიული, ისე პრევენციული საშუალებებით, მაგალითად, კორუფციის გამომძიების ეფექტიანობისა და შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერებით; ყველა შესაბამისი თანამდებობის პირის ქონებრივი და შემოსავლების დეკლარაციების გადამოწმების გაძლიერება, ინტერესთა შესაძლო კონფლიქტების აღმოფხვრა და ზომების ეფექტურობის მონიტორინგი და შეფასება;
- ქმედითი მექანიზმების არსებობის უზრუნველყოფა COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული ნებისმიერი რისკისა თუ მოწყვლადობის თავიდან ასაცილებლად და გამოსავლენად მაღალი რისკის ქვეშ არსებულ ისეთ სფეროებში კორუფციასთან ბრძოლისას, როგორცაა სახელმწიფო შესყიდვები და ჯანდაცვა;

- კორუფციის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის მექანიზმების შემდგომი გაძლიერება რისკის ქვეშ არსებულ ისეთ ძირითად სფეროებში, როგორცაა:
 - სახელმწიფო შესყიდვების ღია და კონკურენტული პროცესების უზრუნველყოფა პირდაპირი კონტრაქტების შემცირებითა და სახელმწიფო შესყიდვების განმხილველი დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე ორგანოს შექმნით;
 - უსაფრთხოების სექტორში ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების სტანდარტების ამაღლება და დემოკრატიული ზედამხედველობის გაძლიერება, მათ შორის, გამონაკლისების შეზღუდვისა (რაც ეხება ფინანსურ ანგარიშგებასაც) და, საჭიროებისამებრ, შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის გზით;
 - გადასახადებთან და დამატებული ღირებულების გადასახადთან (დღგ) დაკავშირებული თაღლითობა, როგორც ეკონომიკური დანაშაულის, კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის, აგრეთვე საჯარო ფინანსების დაცვის განუყოფელი ნაწილი;
 - მოქმედი წესებისა და პროცედურების შესაბამისად, ეფექტიანი თანამშრომლობისა და დახმარების უზრუნველყოფა ევროკავშირის შესაბამისი ინსტიტუტებისა და ორგანოებისთვის, მათ შორის, ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისისთვის (OLAF) ევროკავშირის ფინანსურ ინტერესებზე გავლენის მომხდენი თაღლითობისა და უკანონო ქმედებების გამოძიებაში, აგრეთვე ევროპის პროკურატურისთვის (EPPO) ევროკავშირის ფინანსურ ინტერესებზე გავლენის მომხდენი დანაშაულების გამოძიებასა და დევნაში;
- თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების უზრუნველყოფის გაგრძელება და ევროკავშირის კანონმდებლობის დებულებების განხორციელება, როგორც ეს გათვალისწინებულია ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისი დანართებით;
- მოქალაქეების უფლებებისა და შესაძლებლობების ხელშეწყობა ინფორმაციაზე წვდომისა და მმართველობაში მონაწილეობის მიღების მიზნით ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოებისა და თავისუფალი და უსაფრთხო მედიის მონიტორინგის მეშვეობით;
- 2020 წლის შემდგომი პერიოდისთვის საჯარო მმართველობის რეფორმის ახალი სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება და ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო მმართველობის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა როგორც პოლიტიკურ, ისე ადმინისტრაციულ დონეზე, მათ შორის,

შესაბამისი სამოქმედო გეგმების კოორდინაციის, მონიტორინგისა და ანგარიშგების გაძლიერების გზით;

- საჯარო მმართველობის ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერება ღია მმართველობის რეფორმების განხორციელების მეშვეობით;
- სახელმწიფო სერვისების განვითარების, მიწოდებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება მოქალაქეთა კმაყოფილებისა და ხელისუფლების მიმართ ნდობის ამაღლების მიზნით;
- ძლიერი კომუნიკაციის განვითარება საჯარო მმართველობის რეფორმის დადებითი ზეგავლენის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით;
- საჯარო სამსახურის სამართლებრივი ჩარჩოს განხორციელება უფრო პროფესიონალური და დამსახურებაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის უზრუნველსაყოფად;
- კანონის უზენაესობისა და ანტიკორუფციული ნიშნულების განხორციელებისა და პროგრესის გაგრძელება უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ფარგლებში.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- კორუფციასთან ბრძოლის გაგრძელება და შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების ეფექტური განხორციელება, როგორცაა გაეროს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ და კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენცია და მისი დამატებითი ოქმი, ისევე როგორც ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის რეკომენდაციები და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტიკორუფციული ქსელის რეკომენდაციები;
- კორუფციის შესაძლო შემთხვევების ეფექტიანი გამომიების უზრუნველყოფის გაგრძელება და ინტერესთა კონფლიქტის პრევენციისთვის ეფექტიანი სისტემის შექმნა;
- ანგარიშვალდებულები, ეფექტიანი, ეფექტური, გამჭვირვალე საჯარო მმართველობის ხელშეწყობა და დამსახურებაზე დაფუძნებული და პროფესიონალური საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება, მათ შორის, შერჩევის, დაწინაურებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების სისტემასთან და საჭიროებებზე დაფუძნებულ სპეციალიზებულ ტრენინგთან დაკავშირებით;
- საქართველოს რეგიონებში სახელმწიფო სერვისების ხარისხის, ეფექტიანობისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- საჯარო ფინანსების მართვისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესება პროგრამული ბიუჯეტირებისას გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, აგრეთვე საშუალოვადიანი სტრატეგიული დაგეგმვისა და განხორციელების გაძლიერება;

- დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი თვითმმართველობების, ახალგაზრდების, აკადემიური წრის ჩართულობისა და შესაძლებლობების გაძლიერება; გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ფართო ჩართულობისა და საჯარო მმართველობის რეფორმების შესრულების მონიტორინგისთვის ეფექტური ინსტრუმენტის უზრუნველყოფა;
- სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული, ახალი ფუნქციებით, პასუხისმგებლობებითა და რესურსებით აღჭურვილი ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფა ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

1.3 ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- 2021-2030 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავება 2020 წლის შემდგომი პერიოდისთვის, რომლებიც ასახავს გაეროს ორგანოების, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის, ევროპის საბჭოს, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) და ადამიანის უფლებათა საკითხზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების კონკრეტულ რეკომენდაციებს, განსაკუთრებით ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის გატარებაში, უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა და პირადი ცხოვრების დაცვასა და რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უზრუნველყოფაში; სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების განხორციელება ეროვნულ და საერთაშორისო სუბიექტებთან მჭიდრო თანამშრომლობით;
- ანტიდისკრიმინაციული კანონის განხორციელების გაგრძელება, დისკრიმინაციისგან ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად, იმ სულისკვეთებით, რომ „არავინ დარჩეს უყურადღებოდ“; შემწყნარებლობის დონის ამაღლებისა და ძალადობის დონის შემცირების ხელშეწყობა;
- მედიის პლურალიზმის, გამჭვირვალობისა და დამოუკიდებლობის გაძლიერების გაგრძელება ევროპის საბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად;
- მედიის მუშაკთა დაცვის ღონისძიებების განხორციელების გაძლიერება და მათ მიმართ ძალადობის ყველა შემთხვევის ეფექტური და ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფა და პასუხისმგებელი პირების სასამართლო პასუხისგებაში მიცემა;
- სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ახალი სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება 2020 წლის შემდგომი პერიოდისთვის, რაც მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში თანაბარი

და სრული მონაწილეობისა და კულტურული მრავალფეროვნების შემდგომი ხელშეწყობის უზრუნველყოფას;

- „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის, ე.წ. სტამბულის კონვენციის, განხორციელებაში პროგრესის მიღწევა ქვეყნის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების გზით გენდერულ თანასწორობასა და გენდერული ნიშნით ძალადობასთან დაკავშირებული საკითხების მხარდასაჭერად. ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის შემთხვევების პრევენციისა და გამოძიების, მსხვერპლთა დაცვისა და მოძალადეების რეაბილიტაციის მხარდაჭერის ზომების გაძლიერების გაგრძელება. სოციალურ ტრანსფორმაციაზე და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართ არსებული დისკრიმინაციული დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შეცვლაზე მუშაობა;
- ზომების მიღება ლგბტი პირების მიმართ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით და უზრუნველყოფა, რომ მათ შეძლონ ყველა სახის ადამიანის უფლებებით - პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული, მათ შორის თავისუფალი შეკრების უფლებით სარგებლობა.
- ყველა ასაკის პირისთვის რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციის მიწოდებისა და პრევენციის გაძლიერება და ქალებისა და გოგონების მიმართ ზიანის მიმყენებელი პრაქტიკის, მათ შორის, სასქესო ორგანოების დასახიჩრების, ბავშვთა, ადრეულ ასაკში და იძულებითი ქორწინებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის სხვა ფორმების, აგრეთვე ღირსების შემლახველი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება, განსაკუთრებით სოფლებში. დედებისთვის სამედიცინო დახმარების გაზრდა;
- სპეციალური ზომების მიღება უმცირესობებს მიკუთვნებული პირების მიმართ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში თანასწორობის გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით.
- კანონმდებლობის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციასთან, აგრეთვე მის ფაკულტატიურ ოქმთან ჰარმონიზაცია და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებთან დაკავშირებული საკითხებისთვის მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნა;
- ზომების გაძლიერება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩართვის გაძლიერებისა და საზოგადოებრივი სივრცეების უკეთესი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთათვის პირობების გაუმჯობესება;
- ბავშვების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მიმართული ძალისხმევის გაძლიერება აღზრდის კარგი პრაქტიკის ხელშეწყობის,

განათლების სისტემაში მეტი მხარდაჭერისა და რეფერალური მექანიზმის გაუმჯობესების გზით;

- ხანდაზმულთა მიმართ ძალადობის გამოვლენისა და მის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მიმართული ძალისხმევის გაძლიერება, ხანდაზმულთათვის ეკონომიკური და სამედიცინო დახმარების გაგრძელება, ხანდაზმულთა უფრო მეტი სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა;
- საჯარო მოსამსახურეების შესაძლებლობების გაზრდა და მათი ცოდნის ამაღლება ადამიანის უფლებათა საკითხებში.

სამშალოვადიანი პრიორიტეტები

- დავების მოგვარებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმების შენარჩუნება სასამართლო მექანიზმებამდე ან მათი ალტერნატივის სახით;
- ადამიანის უფლებების დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ხელშეწყობის და ადამიანის უფლებების დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლებისა და ტრენინგების გაგრძელება სასამართლო, სამართალდამცავ და საჯარო მმართველობის ყველა სისტემაში, მათ შორის, რეგიონებში;
- სახალხო დამცველის აპარატის რეკომენდაციების, მათ შორის, დისკრიმინაციის შემთხვევებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულების გაგრძელება და ანტიდისკრიმინაციული კანონით გათვალისწინებული ინსტიტუციური მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის გაგრძელება;
- ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის მონიტორინგის შესაძლებლობების განვითარების გაგრძელება, ისევე როგორც იურიდიულ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან (CSO) და წარმომადგენელ სოციალურ პარტნიორებთან (პროფესიული კავშირები და დამსაქმებელთა ორგანიზაციები), როგორც საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულ პრიორიტეტულ სფეროებში, მათ შორის, შრომითი უფლებების, კონფიდენციალურობის, უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა და სხვა მოწყვლად სიტუაციაში მყოფ პირთა უფლებებისა და მედიის თავისუფლების სფეროებში, დაინტერესებულ მხარეებთან და მაკონტროლებლებთან, თანამშრომლობის გაგრძელება;
- ცნობიერების ამაღლების მიზნით ნაბიჯების გადადგმა და ეროვნული უმცირესობების, მათ შორის, უმცირესობათა ენების შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩოკონვენციის არსებული დებულებების დაცვის გაგრძელებაზე მუშაობა;

- გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მის პრევენციაზე მუშაობის გაგრძელება, აგრეთვე გენდერული სტერეოტიპების შეცვლაზე, მამაკაცებისა და ბიჭების მეტ ჩართულობაზე ყურადღების გამახვილება, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის, მეწარმეობის და შრომის ბაზარზე წვდომის გაუმჯობესების გზით ეკონომიკური და ფინანსური დამოუკიდებლობის ხელშეწყობა.

1.4 არასათანადო მოპყრობა და წამება

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- წამების საწინააღმდეგო შესაბამისი სამოქმედო გეგმების განხორციელების უზრუნველყოფა და არასათანადო მოპყრობისა და წამების წინააღმდეგ შემდგომი ზომების მიღების გაგრძელება, აგრეთვე დაუსჯელობის წინააღმდეგ საბრძოლველად ძალისხმევათა გაძლიერება;
- სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლების წინააღმდეგ გამოთქმული შენიშვნების გამოძიებაზე პასუხისმგებელი საზედამხედველო ორგანოს დამოუკიდებლობის ხელშეწყობისა და გაძლიერების გაგრძელება როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკულ დონეებზე, არასათანადო მოპყრობისა და წამების შემთხვევების ეფექტიანად გამოძიების მიზნით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
- პენიტენციურ სისტემაში, პოლიციაში, სამხედრო და დაკავების სხვა დაწესებულებებში წამებისა და არასათანადო მოპყრობის ნებისმიერი ბრალდების სრულყოფილი, გამჭვირვალე, დამოუკიდებელი გამოძიების უზრუნველყოფა ზემოაღნიშნული პასუხისმგებელი საზედამხედველო ორგანოს მეშვეობით;
- სახალხო დამცველის აპარატთან არსებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის (NPM) მხარდაჭერისა და თანამშრომლობის გაგრძელება მისი ეფექტიანი ფუნქციონირების მეშვეობით დარღვევათა პრევენციის მიზნით, მათ შორის, მისი შესაბამისი დაფინანსების და პროცესის კონფიდენციალურობის დაცვის მეშვეობით;
- პატიმრობის პირობებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებებში პირობების შემდგომი გაუმჯობესება.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- პენიტენციური ჯანდაცვის სისტემისა და პატიმართათვის სამოქალაქო სექტორთან გათანაბრებული ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისთვის ძალისხმევათა გაგრძელება. დახურულ დაწესებულებებში ან მათზე მომუშავე სამედიცინო პერსონალის შესაძლებლობათა განვითარება და მათი შესაბამისი უფლებებით აღჭურვა არასათანადო მოპყრობის შესახებ შეტყობინების მიზნით.

- პენიტენციურ სისტემაში სარეაბილიტაციო, ზიანის შემცირებისა და ჯანდაცვის პროგრამების გაძლიერების გაგრძელება;
- ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის ადრეული გამოვლენისა და პრევენციისთვის პენიტენციური სისტემის, პოლიციის, სამხედრო და სხვა დახურული დაწესებულებების არსებული შიდა და გარე ზედამხედველობის ეფექტურობის შემდგომი გაძლიერება.

1.5 თანასწორი მოპყრობა

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- გენდერული თანასწორობის გაძლიერება და სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა, ისევე როგორც უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა, მათი რელიგიის ან რწმენის, ეთნიკური ან ეროვნული წარმომავლობის, რასის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, შესაძლებლობის ან სხვა გარემოების მიუხედავად;
- გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ არსებული კანონმდებლობის განხორციელების გაძლიერებისთვის შემდგომი ზომების მიღება, მათ შორის, საკითხთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება როგორც ზოგადად მოსახლეობაში, ისე კონკრეტულ პროფესიულ ჯგუფებში, როგორცაა პოლიცია, განსაკუთრებით სოფლებში. მსხვერპლთათვის საკონსულტაციო მომსახურების, საცხოვრებლისა და თავშესაფრის ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- მსხვერპლთათვის, მათ შორის, უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთათვის, საკონსულტაციო მომსახურების და თავშესაფრის, ისევე როგორც თავშესაფრის შემდეგ მათი ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოების პროგრამების, ხელმისაწვდომობა;
- გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და მოხსენების გაუმჯობესება. ადგილობრივ დონეზე გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა ადგილობრივი სუბიექტების, როგორცაა მუნიციპალიტეტები, სოციალური მუშაკები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მეტი ჩართულობით;
- ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში თანასწორობის ყოვლისმომცველი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს ყველა პირის მიერ, მათ შორის მოწყვლად პირობებში მყოფი პირების მიერ ადამიანის უფლებებით სრულად სარგებლობას.

- ევროკავშირის პოზიცია, ევროკავშირის ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის 2020-2024 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, მიზნად ისახავს საერთაშორისო სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩოს გაძლიერებასა და აღსრულებას, რომელიც მიმართულია ქალთა და ახალგაზრდათა თანაბარი, სრული, ეფექტიანი და არსებითი მონაწილეობის, მათი ყველა განსხვავებებით, საჯარო და პოლიტიკური ცხოვრების ყველა მიმართულებასა და დონეზე, მათ შორის პოლიტიკური პარტიების გამარჯვებული ადგილებისთვის სიაში მათი ჩართვის და მონაწილეთა შესაძლებლობების გაძლიერებით.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება ისეთ სფეროებში, როგორცაა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესები, დედობის დაცვის წესები, მშობლისა და პროფესიული ვალდებულებების შეთავსების წესები, ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად;
- გადაწყვეტილებების მიღების პოლიტიკურ ფორმატებში, შრომის ბაზარზე და ეკონომიკურ საქმიანობაში, მათ შორის, ადგილობრივ დონეზე (მაგ., მუნიციპალიტეტებში) ქალთა და უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა ფართო მონაწილეობისა და წარმომადგენლობის გაზრდის ხელშესაწყობად აქტიური ნაბიჯების გადადგმა;
- შრომის ბაზარზე დისკრიმინაციის აკრძალვის და თანაბარი სამუშაოს შესრულებისთვის თანაბარი ანაზღაურების მიღების პრინციპის განხორციელების ხელშეწყობა.
- ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა მეტი სოციალური და ეკონომიკური ჩართულობისა და მონაწილეობის ხელშეწყობა, მათ შორის, ინფორმაციისა და განათლების ხელმისაწვდომობის, ისევე როგორც ქართული ენის შესწავლის, მეშვეობით;
- ცოდნისა და ცნობიერების ამაღლების მეშვეობით ფართო საზოგადოებაში მიღებისა და შემწყნარებლობის გაზრდა.

1.6 ბავშვთა უფლებები

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ განხორციელება ყველა საჭირო კანონის შესაბამისობაში მოყვანის გზით და ბავშვთა ყველა ფორმის ძალადობისგან დაცვის ეროვნული მექანიზმის გაძლიერება, მათ შორის, ბავშვთა, ადრეულ ასაკში და იძულებითი ქორწინებისგან;
- ყველა ბავშვის, მათ შორის, ყველაზე მარგინალიზებულ და მოწყვლად სიტუაციებში მყოფი ბავშვების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ქუჩაში მცხოვრები ბავშვების საჭიროებათა დაკმაყოფილება, მათ შორის, სოციალური დაცვის მექანიზმების გაუმჯობესებისა და

გაფართოების გზით, ისევე როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის აბილიტაციის/რეაბილიტაციის პროგრამებზე ტერიტორიული წვდომის ხელშეწყობის გზით, და ბავშვთა შრომის სრული აღმოფხვრის მიზნით ნაბიჯების გადადგმა;

- „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონის განხორციელება და რესურსების უზრუნველყოფა ბავშვებთან, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან, მომუშავე სპეციალისტების დასაქმებისა და შესაძლებლობების გასაზრდელად;
- ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოების ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლება ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;
- ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციაზე მუშაობის გაგრძელება, ზედამხედველობის მექანიზმის გამოყენება და ალტერნატიული ზრუნვის განვითარების გაგრძელება.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის გაგრძელება;
- სოციალური და ქცევითი ცვლილებებისკენ ნაბიჯების გადადგმა ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში;
- ბავშვზე ზრუნვის დეინსტიტუციონალიზაციის დასრულება.

1.7 პროფესიული კავშირების უფლებები და ძირითადი შრომითი სტანდარტები

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- შრომისა და სამუშაო პირობების შესახებ ყველა კანონისთვის შრომის ინსპექციის სისტემის საზედამხედველო ფუნქციების დამდგენი სამართლებრივი ჩარჩოს მიღება და განხორციელება და, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტების შესაბამისად, არსებულ კანონმდებლობაში შრომის ინსპექტორთა უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა შეზღუდვის მოხსნა;
- შრომის კოდექსსა და სხვა შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის გაგრძელება;
- შესაბამისი კომპეტენციის, შესაძლებლობებისა და რესურსების (ფინანსური, ადამიანური და ადმინისტრაციული) მქონე შრომის ინსპექციის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფის გაგრძელება ნებისმიერი სახის სამუშაო პირობებისა და შრომითი ურთიერთობების შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად ინსპექტირების მიზნით.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- შრომის კანონმდებლობის განმტკიცება შრომითი დავების მოგვარების პროცედურებით, მათ შორის, შრომითი მედიაციის სისტემის მეშვეობით;
- თანაბარი შრომისა და გასამრჯელოს შეფასების/გაზომვის მეთოდოლოგიის შემუშავება;
- სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის და მისი რეგიონული ფილიალის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასა და ევროპის სოციალური პარტნიორი ორგანიზაციების თანამშრომლობის მეშვეობით სოციალური დიალოგის გაუმჯობესების გაგრძელება.

2. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

დიალოგი და თანამშრომლობა ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP) სფეროში კიდევ უფრო გაძლიერდება და მიზნად ისახავს ეტაპობრივ დაახლოებას, მათ შორის, ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის მიმართულებით, და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ისეთ საკითხებს, როგორცაა კონფლიქტის პრევენციისა და კრიზისების მართვის საკითხები, რეგიონული სტაბილურობა, შეიარაღებაზე კონტროლი, განიარაღება, ბირთვული იარაღის გაუფრცვლელობა, კიბერუსაფრთხოება და ჰიბრიდული საფრთხეები. თანამშრომლობა დაეფუძნება საერთო ღირებულებებსა და საერთო ინტერესებს, მათ შორის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის და საზღვრების ურღვეობის და თავისუფლების პრინციპის პატივისცემას და მიმართული იქნება პოლიტიკის თანმიმდევრულობისა და ეფექტიანობის გაზრდისკენ, ორმხრივი, მრავალმხრივი და რეგიონული ფორმატების გამოყენებისა და საერთაშორისო წესებზე დაფუძნებული წესრიგის დაცვისკენ.

2.1 თანამშრომლობა ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის მიმართულებით, შესაბამისობაში მოყვანა, ჰიბრიდული საფრთხეები და კიბერუსაფრთხოება, სტრატეგიული კომუნიკაცია და რეგიონული თანამშრომლობა

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- ძალისხმევის გაძლიერება, რათა გაიზარდოს საქართველოს დაახლოება ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის დეკლარაციებთან და გადაწყვეტილებებთან, მათ შორის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების შესაბამისად, როგორც გამოხატულია ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების დღის წესრიგში, და ქმედებები მრავალმხრივ ფორმატში;

- ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის, კიბერუსაფრთხოების გაძლიერების კუთხით თანამშრომლობის გაძლიერება, მათ შორის, ჰიბრიდული საფრთხეების კვლევაზე დაფუძნებული რეკომენდაციების განხორციელების გზით;
- სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროში თანამშრომლობის გაძლიერება დეზინფორმაციის მიმართ სახელმწიფოსა და საზოგადოების მედეგობის განმტკიცების მიზნით; პრაქტიკული თანამშრომლობის ჩარჩოს გაფართოება და გამრავალფეროვნება სამოქალაქო საზოგადოების სუბიექტების და მსგავსი შეხედულებების მქონე სხვა სახელმწიფო სუბიექტებისა და დაწესებულებების ჩართვის მიზნით;
- საქართველოში უსაფრთხოების სექტორის ეფექტური რეფორმის განხორციელების მიზნით ძალისხმევის გაგრძელება;
- კონფლიქტის პრევენციისა და კრიზისების მართვის კუთხით პრაქტიკული თანამშრომლობის გაძლიერება ევროკავშირის მიერ წარმოებულ სამოქალაქო და სამხედრო კრიზისების მართვის ოპერაციებში, 2013 წლის ნოემბერში გაფორმებული „მონაწილეობის ჩარჩო შეთანხმების“ საფუძველზე ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სფეროში საკონსულტაციო და სასწავლო ღონისძიებებში, აგრეთვე „აღმოსავლეთ პარტნიორობის უსაფრთხოების, ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის და სამოქალაქო დაცვის პანელის“ მრავალმხრივ ჩარჩოში საქართველოს მონაწილეობის და ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის საკითხებზე ევროკავშირის სააგენტოებთან თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით;

რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობა უსაფრთხოების საკითხებზე, როგორცაა საზღვრის გაუმჯობესებული მართვა, მიგრაციის მართვა, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა, ექსპორტის კონტროლი, კატასტროფების რისკების შემცირება და მართვა, მათ შორის, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება, სამოქალაქო დაცვა, კონტრაბანდისა და აკრძალული საქონლით (როგორცაა ბიოლოგიური და ბირთვული მასალები) უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა და შესაბამისი პერსონალის მომზადება, მათ შორის, კერძოდ, ევროკავშირის „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული (CBRN) სრულყოფილების ცენტრის ინიციატივისა“ და საქართველოში განთავსებული მისი „სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული სამდივნოს“ მეშვეობით.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისა და საერთაშორისო სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა საერთაშორისო წესებზე

დაფუძნებული წესრიგის დაცვის მიზნით და ეფექტიანი მულტილატერალიზმის საფუძველზე;

- გაეროს ქარტიითა და ეუთოს ჰელსინკის დასკვნითი აქტით დადგენილი დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და საზღვრების ურღვეობის პრინციპების ერთობლივი პატივისცემის ხელშეწყობა, მათ შორის ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გადაწყვეტილებებთან და დეკლარაციებთან დაახლოება.

2.2 ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა და იარაღის უკანონო ექსპორტი

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- თანამშრომლობა მასობრივი განადგურების იარაღისა და მისი მიწოდების საშუალებების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, განიარაღებისა და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად მხარეთა არსებული ვალდებულებების და სხვა შესაბამისი საერთაშორისო ვალდებულებების სრული დაცვითა და ეროვნულ დონეზე მათი განხორციელების გზით;
- საქართველოსა და ევროპულს შორის გაფორმებული ოპერატიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების სრული გამოყენება, ტერორისტული ორგანიზაციების, ტერორისტული დაჯგუფებების, მათი საქმიანობისა და მხარდამჭერი ქსელების შესახებ ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობის მიზნით.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებზე დაფუძნებული ბრძოლის, მათ შორის, ტერორისტული აქტების სამართლებრივი განმარტების თაობაზე საერთაშორისო კონსენსუსის გაღრმავების მიზნით, მათ შორის, „საერთაშორისო ტერორიზმის შესახებ“ ყოვლისმომცველ კონვენციასთან დაკავშირებით შეთანხმების ხელშეწყობის გზით;
- გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის (UNSCR) 2396 განხორციელების გაგრძელება და, კერძოდ, ტერორიზმში ექვმიტანილ პირებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლა, უცხოელი ტერორისტი მებრძოლების იდენტიფიცირების, გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით;
- თანამშრომლობა რისკებზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს იმპორტირებული, ექსპორტირებული თუ ტრანზიტული საქონლის უვნებლობასა და უსაფრთხოებას;

- მცირე და მსუბუქი შეიარაღებით, მათ შორის, მათი საბრძოლო მასალით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა არსებული საერთაშორისო შეთანხმებების, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებისა და აღნიშნულ სფეროში მოქმედი სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად;
- ჩვეულებრივი შეიარაღების ექსპორტის კონტროლის სფეროში თანამშრომლობის გაგრძელება, სამხედრო ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის ექსპორტის კონტროლის შესახებ ევროკავშირის ერთიანი პოზიციის გათვალისწინებით. იარაღით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მარაგების განადგურების კუთხით თანამშრომლობის გაგრძელება;
- შეიარაღების კონტროლისა და შესაბამისი ნდობის აღდგენის რეჟიმების, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ შეთანხმების (NPT) სამივე სვეტის, აგრეთვე „ქიმიური იარაღის შესახებ“ კონვენციის, „ბიოლოგიური იარაღის შესახებ“ კონვენციის და შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებების და სხვა საერთაშორისო ვალდებულებების განხორციელების ხელშეწყობის გაგრძელება.

2.3 კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- ევროკავშირისა და საქართველოს შორის ეფექტური თანამშრომლობის შენარჩუნება შეთანხმებული ფორმატების ფარგლებში კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით, მათ შორის, ევროკავშირის შუამავლობით 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრულად განხორციელების და იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა თავიანთ სახლებში უსაფრთხო, ნებაყოფლობითი და ღირსეული დაბრუნების უზრუნველყოფის, აგრეთვე საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობების გაღრმავების პროცესში საქართველოს რეგიონების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის – ჩართვის გზების მოძიების მიზნით;
- ევროკავშირისა და საქართველოს შორის ეფექტური თანამშრომლობისა და კოორდინაციის შენარჩუნება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიმართულებით, მათ შორის, რეგულარული პოლიტიკური დიალოგის გზით, და მშვიდობის მშენებლობისა და უსაფრთხოების საკითხების პრიორიტეტულობის შენარჩუნება ევროკავშირის დღის წესრიგში;
- ევროკავშირის შუამავლობით 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ძალისხმევის კოორდინაცია, მათ შორის, თავდაპირველი ზომების შემდგომი განმახორციელებელი ზომების შემუშავებისა და ხელშეწყობის გზით;

- ევროკავშირის, გაეროსა და ეუთოს თანა-თავმჯდომარეობით მიმდინარე ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში ქმედითი მოლაპარაკებებისა და საგრძნობი შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად ძალისხმევის გაძლიერება ევროკავშირის შუამავლობით 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების საფუძველზე, მოუგვარებელი კონფლიქტიდან გამომდინარე უსაფრთხოებასთან დაკავშირებული და ჰუმანიტარული გამოწვევებისთვის გრძელვადიანი გადაწყვეტილებების პოვნის მიზნით;
- საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შესაძლებლობების სრული და ეფექტური გამოყენება სტაბილურობის, ნორმალიზების, მათ შორის, ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლების ორივე მხარეს მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხო და ნორმალური ცხოვრების ხელშეწყობის, აგრეთვე ნდობის აღდგენის მიზნით;
- გალსა და ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების განახლებისა და ეფექტური ფუნქციონირების მიმართულებით მუშაობის გაგრძელება და კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით ძალისხმევის გაორმაგება;
- საქართველოს რეგიონებში – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში – ადამიანის უფლებათა დარღვევის საკითხის გადასაწყვეტად ძალისხმევის გაგრძელება;
- კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიზნით გაწეული ძალისხმევის მხარდაჭერა, მათ შორის, საქართველოს რეგიონების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის – მოსახლეობასთან კონტაქტების დამყარებით, საქართველოს შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკისა (მათ შორის, სამშვიდობო ინიციატივის) და ევროკავშირის არალიბერისა და ჩართულობის პოლიტიკის ჭრილში, რომელთა განხორციელებაზეც ევროკავშირი და საქართველო თანამშრომლობენ;
- თანამშრომლობა საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებით მიღებული სარგებლისა და შესაძლებლობების, მათ შორის, შენგენის ზონაში მოკლევადიანი უვიზო მიმოსვლის რეჟიმის, გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისთვის გაზიარების მიზნით;
- ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლების მიმდებარედ გადაადგილების თავისუფლების, ვაჭრობის, ეკონომიკური კავშირებისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების ხელშეწყობის გაგრძელება, მათ შორის, საჭიროებიდან გამომდინარე, კანონმდებლობის გადახედვის და სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ მეშვეობით. კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებულ მოსახლეობას შორის ხალხთაშორისი კონტაქტების, ნდობის აღდგენისა და შერიგების ძალისხმევათა მხარდაჭერის მიზნით ზომების მიღების მიმართულებით თანამშრომლობა;

- იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგრადი ინტეგრაციის ხელშესაწყობად შემდგომი ნაბიჯების გადადგმა (საკუთრების უფლება, დასაქმება, მიზანმიმართული მხარდაჭერა);
- ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების (UNSCR 1325 +) გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფა;
- კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებასა და მშვიდობის მშენებლობაში ქალთა ფართო მონაწილეობის გაძლიერება, აგრეთვე კონფლიქტის მოგვარების ყველა ძალისხმევის ფარგლებში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური კონსულტაციების უზრუნველყოფა;
- ერთობლივი ძალისხმევის გაგრძელება და ეფექტური პრევენციული ღონისძიებების გატარება საერთაშორისო არენაზე არაღიარების პოლიტიკის შემდგომი განმტკიცების მიზნით.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- კონფლიქტის მდგრადი მოგვარების მიზნით ნაბიჯების გადადგმა კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის არსებული ფორმატების დაურღვევლად; კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება იქნება ერთ-ერთი მთავარი საკითხი, როგორც მხარეთა შორის პოლიტიკური დიალოგის დღის წესრიგში, ისე სხვა შესაბამის საერთაშორისო სუბიექტებთან დიალოგისას;
- საქართველოს რეგიონებში – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში – საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმების შექმნის, აღნიშნულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების დაშვების, და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის სრულად განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ერთობლივი ძალისხმევის გაგრძელება;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა თავიანთი წარმოშობის ადგილებზე უსაფრთხო, ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნების მიმართულებით მუშაობის გაგრძელება საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად;
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან (ICC) თანამშრომლობის გაგრძელება რომის სტატუტისა და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტების განხორციელებით, მისი მთლიანობის შენარჩუნების სათანადოდ გათვალისწინებით. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობის გაგრძელება 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიებასთან დაკავშირებით.

3. მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება

2017 წლის მარტში საქართველოს მოქალაქეებს მიენიჭათ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის უფლება. აღნიშნულ კონტექსტში საქართველომ უნდა განაგრძოს ვიზალიბერალიზაციის ნიშნულების შესრულება და უვიზო რეჟიმის შექმნის მექანიზმის ფარგლებში ევროკომისიის მიერ გამოცემულ რეგულარულ ანგარიშებში წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინება, რათა უზრუნველყოს უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მდგრადობა და, ამგვარად, ხელი შეუწყოს ევროკავშირსა და საქართველოს შორის მობილობასა და ხალხთაშორის კონტაქტებს.

გარდა ამისა, რეადმისიის შესახებ შეთანხმება, ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობა მობილობისთვის და, საჭიროებისამებრ, მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა სფეროებში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები და ხელშეკრულებები ევროკავშირის რამდენიმე სააგენტოსთან, როგორცაა ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტო (Frontex), მიგრაციის ევროპული ქსელი (EMN), ევროპოლი, სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტო (Cepol) და ევროჯასტი ქმნის გაძლიერებული თანამშრომლობის კონტექსტს მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა სფეროებში.

3.1 პერსონალურ მონაცემთა დაცვა

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- პერსონალურ მონაცემთა მაღალ დონეზე დაცვის უზრუნველყოფა და კანონმდებლობის ამოქმედება ევროპული სტანდარტების შესაბამისად, აგრეთვე პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა კერძო და საჯარო სექტორებში, მათ შორის, სისხლის სამართლის სფეროში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების პატივისცემის უზრუნველსაყოფად.
- მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის ორგანოს შესაძლებლობათა გაძლიერება მონაცემთა დაცვის სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიურ გამოწვევებთან გამკლავების და საქართველოში ევროპული სტანდარტების წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის ორგანოს შესაძლებლობათა გაძლიერების გაგრძელება და მონაცემთა დაცვის სტანდარტების გამოყენებისთვის თვალის მიდევნება.

3.2 მიგრაცია, თავშესაფარი და საზღვრის ერთიანი მართვა

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- ვიზალიბერალიზაციის ყველა ნიშნულისა და ევროკომისიის მიერ უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ანგარიშებში გაცემული რეკომენდაციების მდგრადი შესრულების უზრუნველყოფა;
- რეადმისიის შესახებ შეთანხმებების, მათ შორის, ევროკავშირსა და საქართველოს შორის რეადმისიის შესახებ შეთანხმების ეფექტური განხორციელების გაგრძელება;
- საქართველოს მოქალაქეების მიერ შენგენ+ ზონაში შეტანილი თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ უსაფუძვლო განაცხადების რაოდენობის სწრაფად შესამცირებლად, ოპერატიული თანამშრომლობის გაძლიერება;
- „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების ეფექტიანი განხორციელება ადამიანის უფლებათა და მონაცემთა დაცვის მოთხოვნების სრული დაცვით;
- უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ საინფორმაციო კამპანიების ორგანიზების გაგრძელება;
- საზღვრის მართვის შემდგომი გაძლიერება და სასაზღვრო შემოწმებებისა და სასაზღვრო ზედამხედველობის მაღალი დონის შენარჩუნება;
- საიმიგრაციო მონაცემების ანალიზისა და რისკების შეფასების მიმართულებით არსებული გაუმჯობესების შესახებ ანგარიშგება;
- საქართველოს მიგრაციის პროფილის რეგულარული განახლება (სულ მცირე, ორ წელიწადში ერთხელ);
- ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოსთან ოპერატიული თანამშრომლობის, მათ შორის, საზღვრის ერთიანი მართვის, პერსონალის გაცვლის, სწავლების, რეგიონიდან დამკვირვებლების ერთობლივ ოპერაციებში მონაწილეობის და აღმოსავლეთ პარტნიორობის რისკების ანალიზის ქსელის საშუალებით ინფორმაციის გაცვლის საკითხებზე თანამშრომლობის გაძლიერების გაგრძელება;
- საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ერთიანი მართვის 2021-2025 წლების სტრატეგიისა და მისი თანმხლები სამოქმედო გეგმის დასრულება და ეფექტიანი განხორციელება.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიისა და მისი თანმხლები სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელება;
- ცირკულარული და ლეგალური მიგრაციის შეთავაზების მიზნით უფრო ეფექტური გზების შემუშავება, მათ შორის შრომის მიგრაციის სქემების

მოქმედი ეროვნული კანონმდებლობისა და კომპეტენციების დაცვითა და ყველა შრომითი მიგრანტის ადამიანის უფლებების სრული დაცვით;

- საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ერთიანი მართვის 2021-2025 წლების სტრატეგიისა და მისი თანმხლები სამოქმედო გეგმის ეფექტიანი შემუშავება და განხორციელება;
- სასაზღვრო შემოწმებებისა და სასაზღვრო ზედამხედველობის მაღალი დონის შენარჩუნება;
- მეზობელ ქვეყნებთან სახელმწიფო საზღვრების დემარკაციის პროცესში პროგრესის მიღწევა;
- სახელმწიფო რეინტეგრაციის პროგრამისა და აქტივობების ეფექტიანი განხორციელების გაგრძელება.

3.3 სამართალდასრულება

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლების წინააღმდეგ გამოთქმული შენიშვნების დამოუკიდებელ გამოძიებაზე პასუხისმგებელი საზედამხედველო ორგანოს სრული ოპერატიული შესაძლებლობების უზრუნველყოფა. პოლიციის წინააღმდეგ გამოთქმული შენიშვნები დამაჯერებელი პასუხისთვის მოითხოვს პროფესიონალურ და ეფექტიან მექანიზმს, მათ შორის, შიდა გენერალური ინსპექციის მეშვეობით;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ეფექტიანი ფუნქციონირების გაგრძელება, მათ შორის, სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლებისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებების თაობაზე პროფესიული ტრენინგის ჩატარების ხელშეწყობით;
- პატიმრობის ალტერნატიულ ზომათა გამოყენების კიდევ უფრო გაფართოება არასაპატიმრო სასჯელის არსებული ფორმების გამოყენების გაზრდისა და არასაპატიმრო სასჯელის ახალი ფორმების შემოღების, აგრეთვე პრობაციის სამსახურის შესაძლებლობათა გაზრდის გზით;
- ორგანიზებული, მძიმე და ყველა სხვა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში საგამომიებო პროცესებისა და მეთოდების მოდერნიზება.

3.4 ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ შესაბამის სამოქმედო გეგმათა განხორციელების გაგრძელების უზრუნველყოფა, და სახელმწიფო

ორგანოების შესაძლებლობათა ზრდის გაგრძელება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების პროაქტიული გამოვლენისა და ეფექტიანი გამოძიების მიზნით;

- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების პროაქტიული გამოვლენისა და გამოძიების ეფექტურობის მონიტორინგი და მასთან დაკავშირებული ანგარიშგება;
- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეროვნული სტრატეგიის და მისი თანმხლები სამოქმედო გეგმის შემუშავება და მათი ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფა;
- ევროპოლთან ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების სრული გამოყენება, მათ შორის, ოპერატიული და სტრატეგიული ინფორმაციის მიწოდებით და ევროკავშირის პოლიტიკის ციკლში/სისხლის სამართლის საფრთხეების წინააღმდეგ ევროპულ მულტიდისციპლინარულ პლატფორმაში (EMPACT) მეტი ჩართულობით;
- სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტოსთან თანამშრომლობის გაგრძელება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა ტრენინგის მიზნით;
- სადაზვერვო ინფორმაციაზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის და დანაშაულის ანალიზის ერთიანი სისტემის შემდგომი განვითარების გაგრძელება, მათ შორის, სადაზვერვო ინფორმაციაზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის სტრატეგიის მიღებითა და განხორციელებით.

სამუალოვადიანი პრიორიტეტები

- ორგანიზებული დანაშაულის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ძალისხმევის გაგრძელება, განსაკუთრებით, ორგანიზებული და მძიმე საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ევროკავშირის პოლიტიკის ციკლის/სისხლის სამართლის საფრთხეების წინააღმდეგ ევროპული მულტიდისციპლინარული პლატფორმის ფარგლებში;
- კიბერდანაშაულთან გამკლავების და საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებისთვის შესაბამისი ტრენინგის ჩატარების მიმართულებით თანამშრომლობის გაძლიერება;
- კიბერდანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერება, ბუდაპეშტის კონვენციის შესაბამისად ყოვლისმომცველი სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნის მიზნით;
- სამართალდაცვით სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შემდგომი გაძლიერება ქართული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

3.5 ბრძოლა უკანონო ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- ნარკოტიკული საშუალებების პრევენციის მიმართულებით და ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული პოლიტიკის ევროკავშირის პოზიციებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანის გზით თანამშრომლობის გაგრძელება, აგრეთვე პრევენციის მექანიზმების შემდგომი გაუმჯობესება ნარკოტიკების ავადმობხმარების პრევენციის 2021-2026 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი შესაბამისი სამოქმედო გეგმების განხორციელების გზით;
- ევროპის ნარკოტიკული საშუალებებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ცენტრთან (EMCDDA) მჭიდრო თანამშრომლობის შენარჩუნება ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის შესაძლებლობების გაზრდისა და შესაბამისი და სარწმუნო ინფორმაციის გაცვლის მიზნით;
- ეროვნული ანტინარკოტიკული სტრატეგიებისა და შემდგომი სამოქმედო გეგმების განხორციელების უზრუნველყოფა.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- ნარკოტიკული საშუალებების საკითხთან დაკავშირებით დაბალანსებული და ერთიანი მიდგომის უზრუნველყოფის გაგრძელება, რათა მოხდეს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებულ ჯანმრთელობისა და სოციალურ შედეგებთან გამკლავების სისტემების გაძლიერება, აგრეთვე უზრუნველყოფილი იყოს უფრო ეფექტური პრევენცია და განხორციელდეს მუშაობა უკანონო ნარკოტიკული საშუალებების მიწოდების, ვაჭრობისა და მათზე მოთხოვნის შემცირების მიმართულებით;
- რეგულარული დიალოგის გაგრძელება აღმოსავლეთ პარტნიორობის ნარკოტიკული საშუალებების შესახებ დიალოგის ფარგლებში.

3.6. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის ფულის გათეთრების საწინააღმდეგო მეოთხე და მეხუთე დირექტივებთან;
- ქონების გაყინვისა და ჩამორთმევის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობისა და გაყინული და ჩამორთმეული ქონების სავარაუდო ღირებულების მონიტორინგი და მათთან დაკავშირებული ანგარიშგება, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს შემდგომი განვითარებისთვის ძალისხმევის გაგრძელება, მათ შორის, აღნიშნულ სფეროებში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების გზით;
- ტერორიზმის დაფინანსების თაობაზე ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებით გათვალისწინებული სტანდარტების შესრულების გაგრძელება;
- ფინანსური ქმედებების სპეციალურ ჯგუფთან, ევროპის საბჭოსთან, ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტთან (MONEYVAL), აგრეთვე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობის გაგრძელება ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;
- ქონების ჩამორთმევის, ქონების დაბრუნებისა და ქონების განკარგვის საკითხებზე ოპერატიული თანამშრომლობის გაუმჯობესების გაგრძელება საქართველოს შესაბამის ორგანოებსა და ევროკავშირის ქონების დაბრუნების სამსახურებს შორის ეფექტური კომუნიკაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის გზით.

3.7 სამართლებრივი თანამშრომლობა

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- „ევროჯასტთან“ ოპერატიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელების გაგრძელება.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში სასამართლო თანამშრომლობის გაძლიერება „სამოქალაქო ან კომერციულ საქმეებზე სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების საზღვარგარეთ ჩაბარების შესახებ“ 1965 წლის კონვენციისა და „სამოქალაქო ან კომერციულ საქმეებზე მტკიცებულებათა საზღვარგარეთ მოპოვების შესახებ“ 1970 წლის კონვენციის განხორციელების გზით;
- სასამართლო თანამშრომლობისა და ბავშვთა დაცვის სფეროებში ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენციის ისეთ ძირითად კონვენციებთან მიერთება და მათი განხორციელება, როგორცაა 2005 წლის კონვენცია „სასამართლოს არჩევის შესახებ შეთანხმებების თაობაზე“ და 2007 წლის ჰააგის კონვენცია „ბავშვთა მხარდაჭერისა და ოჯახის რჩენის სხვა ფორმების შესახებ“ და მისი ოქმი რჩენის ვალდებულების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესახებ;

- სისხლის სამართლის საკითხებში სასამართლო თანამშრომლობის გაძლიერება შესაბამის კონვენციებთან, განსაკუთრებით ევროპის საბჭოს კონვენციებთან, მიერთებისა და მათი განხორციელების გზით.

4. *ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები*

მხარეები გააგრძელებენ ინტეგრაციის გაღრმავებას ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტის საფუძველზე. მხარეები აცნობიერებენ, რომ აღნიშნული შეთანხმების სრული პოტენციალი ჯერ კიდევ არ არის მიღწეული და ისინი ითანამშრომლებენ ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიღწევის მიზნით, რაც გათვალისწინებულია ასოცირების შესახებ შეთანხმების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტის შესაბამისი დანართებით, განსაკუთრებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ ქვემოთ ჩამოთვლილ სფეროებში. ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და მისი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტის ეფექტიანი განხორციელება, რაც უკავშირდება რეგულაციური დაახლოებისა და მასთან დაკავშირებული აუცილებელი რეფორმების უფრო ფართო პროცესს, ხელს უწყობს ევროკავშირთან გაძლიერებული ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობებისთვის შესაბამისი პირობების შექმნას, რითაც განაპირობებს საქართველოს შემდგომ ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას ევროკავშირის შიდა ბაზარზე, როგორც ეს გათვალისწინებულია ასოცირების შესახებ შეთანხმებით. მხარეები იმუშავებენ ერთობლივად ასოცირების შესახებ შეთანხმების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტის ყველა დებულების განხორციელების მიზნით. ორივე მხარე ითანამშრომლებს რეგულარულად, მათ შორის, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით შექმნილი ორმხრივი სტრუქტურების საშუალებით, ისევე როგორც მრავალმხრივი ჩარჩოს ფარგლებში.

საქართველო გააძლიერებს ეროვნულ ინსტიტუციურ ჩარჩოს, თითოეულ შესაბამის სფეროში მიღებული ახალი კანონმდებლობის მიუკერძოებელი განხორციელების, აღსრულებისა და მონიტორინგის უზრუნველსაყოფად.

საქართველო რეგულარულად შეატყობინებს ევროკავშირს კანონმდებლობის დაახლოების კუთხით არსებული სიტუაციის შესახებ სპეციალიზებული ქვეკომიტეტების საშუალებით და ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების ყოველწლიური კომიტეტის ფარგლებში. თუ მიზანშეწონილია და ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში, ევროკავშირი დახმარებას გაუწევს და გამოცდილებას გაუზიარებს საქართველოს ხელისუფლების ორგანოებს ამ პროცესში დახმარების მიზნით.

4.1 საქონლით ვაჭრობა

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- ვაჭრობის სტატისტიკის სფეროში შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველყოფა;
- ერთობლივი მუშაობა საქართველოს საექსპორტო სტრუქტურის დივერსიფიკაციის გაზრდის მიზნით, მათ შორის, ევროკავშირის ბაზარზე ახალი პროდუქტების ექსპორტის მხრივ.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- მჭიდრო თანამშრომლობა გვერდის ავლის საწინააღმდეგო მექანიზმის ეფექტური გამოყენების მიზნით;
- საქართველოსთვის დახმარების გაწევა იმ კანონმდებლობის შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლის მომზადებასაც ის შესაძლოა გეგმავდეს ბაზარზე დაშვების ან სხვა დაკავშირებულ საკითხებზე (ე.ი. სავაჭრო ზომებზე);
- ბაზარზე დაშვებასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენებისა და ბაზარზე დაშვების პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაცვლის უზრუნველყოფა.

4.2 ტექნიკური რეგულაციები, სტანდარტიზაცია და შესაბამისი ინფრასტრუქტურა

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- იმ კანონმდებლობის შემუშავება, რომლის განხორციელების ვალდებულებაც საქართველომ აიღო ასოცირების შესახებ შეთანხმებით, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების სტრატეგიის შესაბამისად;
- სტანდარტების, ტექნიკური რეგულაციების, მეტროლოგიის, ბაზარზე ზედამხედველობის, აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება, მათ შორის, ევროკავშირის მხრიდან მხარდაჭერის მეშვეობით;
- დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, ეკონომიკური ოპერატორების, მომზადებისა და ადაპტაციის ხელშეწყობა დაახლოებული კანონმდებლობის განხორციელების მიზნით;
- სამრეწველო საქონელთან დაკავშირებით ბაზარზე ზედამხედველობის სტრატეგიის განხორციელების გაგრძელება;

- ბაზარზე ზედამხედველობის სფეროში საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებებისა და ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოების ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება;
- კადრების შემდგომი ტრენინგის უზრუნველყოფა ტექნიკური რეგულაციების, მეტროლოგიის და სტანდარტიზაციის, აგრეთვე აკრედიტაციის საკითხებზე მომუშავე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისა და სააგენტოების მართვისთვის;
- ინფორმაციის გაცვლა საქართველოს ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერებისა და ბაზარზე ზედამხედველობის სტრატეგიების ყველა შესაბამის ასპექტთან, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, დადგენილ ვადებთან, დაკავშირებით.

4.3 სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- სურსათის და ცხოველის საკვების, ცხოველთა ჯანმრთელობისა და მცენარეთა ჯანმრთელობის უზენებლობისთვის ადრეული გაფრთხილების მექანიზმის მხარდაჭერა;
- საინფორმაციო კამპანიების ორგანიზება შესაბამის სააგენტოებთან, კომპანიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ევროკავშირის ბაზარზე შესასვლელად საჭირო მოთხოვნების თაობაზე, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოებასთან სურსათისა და მის უზენებლობასთან დაკავშირებული მომხმარებელთა დაცვის შესაბამისი ასპექტების თაობაზე;
- ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთვის შემდგომი ტექნიკური კონსულტაციებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომებთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემუშავებასა და განხორციელებაში, მათ შორის, შესაბამისი კადრების მომზადების, კომპეტენტური ორგანოების შესაძლებლობათა ზრდის და ლაბორატორიული შესაძლებლობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიმართულებით, ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად;
- საქართველოს მხარდაჭერა სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების სფეროში დაახლოებული კანონმდებლობის წარმატებით განხორციელების მიმართულებით;
- ქართული ბიზნესის ადაპტაციის შესაძლებლობების გაუმჯობესება დაახლოებული კანონმდებლობის განხორციელების მიზნით. ადაპტაციის შესაძლებლობების მხარდაჭერის კონცენტრირება განსაკუთრებით მიკრო, მცირე და საშუალო ზომის სურსათის ბიზნეს-ოპერატორებზე.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- საქართველოს მხარდაჭერა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სფეროში რისკების ანალიზის გაძლიერების მიზნით; სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე

ვეტერინარული ფიტოსანიტარიისა და სურსათის უვნებლობის შემოწმების უზრუნველყოფა; ქართული კომპანიების ადაპტაციის ხელშეწყობა დაახლოებული კანონმდებლობის განხორციელების მიზნით; ევროკავშირის ბაზარზე დამატებითი საკვები პროდუქტების დაშვების კუთხით პროგრესის მიღწევა;

- თანამშრომლობა ცხოველთა კეთილდღეობის სფეროში და მეცხოველეობაში ანტიბიოტიკების შეზღუდულად გამოყენების მიმართულებით, ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის დასაძლევად.

4.4 საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- თანამშრომლობის გაგრძელება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან და ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამის დანართში ჩამოთვლილ საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისთვის მიმდინარე სამუშაოების მიმართულებით, როგორცაა ახალი საბაჟო კოდექსი;
- საბაჟო თანამშრომლობისთვის სტრატეგიული ჩარჩოს დანერგვის უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში, შემდგომ გადახედვასთან და განახლებასთან ერთად;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა საბაჟო აღსრულების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების გაგრძელება ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად;
- საბაჟო კოდექსის განხორციელებასთან დაკავშირებით ინფორმაციის რეგულარული მიწოდება;
- საქართველოსთვის დახმარების გაწევა „ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ კონვენციასთან მიერთების პროცესში;
- თანამშრომლობა საქართველოსთვის ხელმისაწვდომ საბაჟო გაციფრულების ინიციატივებთან და პლატფორმებთან დაკავშირებული ზომების მიმართულებით.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- საქართველოს საბაჟო ორგანოების მოდერნიზაციის გაგრძელება;
- საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და მოდერნიზაციის გაგრძელება;
- თანამშრომლობა რისკებზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლის და შესაბამისი ინფორმაციის გაზიარების მიმართულებით, რაც განაპირობებს რისკების მართვისა და მიწოდების ჯაჭვის უსაფრთხოების გაუმჯობესებას, კანონიერი ვაჭრობის ხელშეწყობას და იმპორტირებული, ექსპორტირებული თუ ტრანზიტული საქონლის უვნებლობასა და უსაფრთხოებას;

- დიალოგის გაძლიერება თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, უკანონო ვაჭრობის, მათ შორის, აქციზური საქონლით უკანონო ვაჭრობის, პრევენციის მიზნით, განსაკუთრებით „საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ ოქმის ფარგლებში გაღრმავებული თანამშრომლობის გზით;
- შესაძლებლობათა გაზრდა ციფრული საბაჟო გარემოს დანერგვის გაუმჯობესების მიზნით;
- მუშაობა ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სისტემის ურთიერთდახმარების მიმართულებით.

4.5 წარმოშობის წესები

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის კონვენციის დებულებების განხორციელება, განსაკუთრებით წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტების (მათი გაცემა და დამოწმება, ასევე მათი შესაბამისობა წარმოშობის წესებთან) და საბაჟო თანამშრომლობის სფეროში.

4.6 დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია

- ტრენინგის ჩატარება და შესაბამისი ადმინისტრაციული შესაძლებლობების ზრდა დაგეგმილი საკანონმდებლო დაახლოების განსახორციელებლად;
- ელექტრონული კომერციის თავსებადი სავაჭრო პლატფორმების განვითარების შესახებ ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა;
- საფოსტო მომსახურებათა შესახებ ევროკავშირის დირექტივის საკვანძო დებულებების განხორციელებისა და აღსრულების თაობაზე დაინტერესებულ მხარეთა ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებით ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა, კერძოდ, უნივერსალური მომსახურების ვალდებულებასთან და, ასევე, საფოსტო სექტორის სხვა შესაბამის პოლიტიკასთან დაკავშირებით.

4.7 სახელმწიფო შესყიდვები

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- პირდაპირი შესყიდვების (ღია ტენდერის გამოცხადების გარეშე) წილის შემცირება უფრო მკაცრი მეორადი კანონმდებლობის და წესების უფრო მკაცრი გამოყენების საშუალებით, განსაკუთრებით გადაუდებელი

აუცილებლობიდან და შემჭიდროებული ვადებიდან გამომდინარე პირდაპირ შესყიდვებთან დაკავშირებით;

- სახელმწიფო შესყიდვების განმხილველი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს შექმნა გადახედილი სამართლებრივი ჩარჩოს შესაბამისად;
- ზუსტი და დროული ინფორმაციის მიწოდება დაგეგმილი საკანონმდებლო მუშაობის შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს შესყიდვების პოლიტიკასა და მის განხორციელებაზე, როგორც საკანონმდებლო დაახლოების, ისე სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ინსტიტუტების შექმნის მიზნებისთვის;
- ასოცირების საბჭო მიიღებს შესაბამის ერთობლივ გადაწყვეტილებას ბაზარზე დაშვების მინიჭების თაობაზე, სახელმწიფო შესყიდვების თავთან დაკავშირებული საგზაო რუკის I ფაზის შესრულების შესაბამისად.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- მხარეები დამატებით განიხილავენ ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებების განხორციელების საკითხს.
- ევროკავშირის დახმარებით საქართველო გააგრძელებს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ახალი კანონმდებლობის შემუშავებასა და მიღებას დაახლოების პროცესისა და ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

4.8 ინტელექტუალური საკუთრების უფლებები

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ ფუნქციონირების მხარდაჭერა სამრეწველო საკუთრების უფლებათა და საავტორო უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად; მესამე ქვეყნების შესაბამის ორგანოებთან და სამრეწველო ასოციაციებთან თანამშრომლობის გაფართოება;
- შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების ან აღმასრულებელი უწყებების აღმასრულებელი შესაძლებლობების გაძლიერება და, ასევე, სასამართლო სისტემის სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა უფლებების მფლობელთათვის გარანტირებული იყოს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სანქციების განხორციელება;
- გაყალბებისა და საავტორო უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ეფექტიანი ზომების მიღება, მათ შორის, აღნიშნულ ქმედებებთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება, რომლის გაზიარებაც მოხდება მხარეებს შორის;

- ინტელექტუალური საკუთრების საკითხებში უფლებების ამოწურვის რეჟიმის გამოყენებასთან დაკავშირებით თანამშრომლობა.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- ორივე მხარის უფლებების მფლობელთათვის ინტელექტუალური საკუთრების უფლების მაღალ დონეზე დაცვისა და აღსრულების უზრუნველყოფა;
- ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების უფლების დაცვისა და გამოყენების სფეროში საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად ზომების მიღება, აგრეთვე უფლებების მფლობელებთან ეფექტური დიალოგის უზრუნველყოფა.

4.9 კონკურენცია

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- თანამშრომლობა ასოცირების შესახებ შეთანხმების კონკურენციის შესახებ თავის და მასთან დაკავშირებული რეფორმების განხორციელების მიმართულებით; თანამშრომლობა შეეხება საქართველოს კონკურენციის ორგანოს ინსტიტუციურ ჩარჩოსა და შესაბამის ადმინისტრაციულ შესაძლებლობებს კონკურენციის შესახებ შესაბამისი კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით;
- თანამშრომლობა ასევე მოიცავს კონკურენციისა და სუბსიდირების სფეროებში სააღსრულებო საქმიანობასთან დაკავშირებით დიალოგის გაღრმავებას.

4.10 გამჭვირვალობა

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- ვაჭრობასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებისას გამჭვირვალობის ვალდებულებების შესრულების შემდგომი გაძლიერება;
- გამჭვირვალე პოლიტიკის შემუშავების საუკეთესო პრაქტიკისა და შესაბამისი გამოცდილების განხილვა, ინფორმაციის გაცვლა და შესაბამისი ტრენინგის ჩატარება, მათ შორის, კომუნიკაციის მექანიზმებსა და დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციების თაობაზე, აგრეთვე სემინარებისა და სხვა ღონისძიებების გამართვა ფართო საზოგადოებისთვის, რომელთა მიზანიც იქნება ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებისა და დაახლოების პროცესის განმარტება.

4.11 ვაჭრობა და მდგრადი განვითარება

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- ყველა შრომითი სტანდარტისა და უფლებისთვის შესაბამისი აღსრულებისა და ზედამხედველობის სისტემის შექმნა, განსაკუთრებით ბავშვთა შრომის აღმოსაფხვრელად, საერთაშორისო და ევროკავშირის პრინციპებისა და პრაქტიკის შესაბამისად;
- თანამშრომლობა განახლებული „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტის“ განხორციელებისა და დაბალემისიანი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების მიმართულებით, პარიზის შეთანხმების შესაბამისად;
- „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) სისტემის განხორციელების ეფექტურობის შემდგომი გაძლიერება, განსაკუთრებით იმ სახეობების შემთხვევაში, რომლებზეც დიდი რაოდენობით ხდება ვაჭრობა ევროკავშირთან, მაგალითად, როგორცაა თეთრყვავილა (*Galanthus spp.*).
- საუკეთესო პრაქტიკის გაუმჯობესებისა და გაცვლის გაგრძელება დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის შესახებ თავის შესაბამისად;
- ვაჭრობასა და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე დიალოგის გაგრძელება.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- შრომითი სტანდარტების ეფექტიანი განხორციელებისა და შრომის დაცვის წესების შესრულების, მათ შორის, ეფექტიანი ზედამხედველობისა და აღსრულების, შესახებ ინფორმაციის გაცვლის გაგრძელება;
- მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების განხორციელების განხილვა, რომელთა ხელმომწერიც ორივე მხარეა;
- თანამშრომლობა ამბიციური გლობალური ბიომრავალფეროვნების ჩარჩოს განხორციელების მიმართულებით, „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ კონვენციის შესაბამისად.

5. ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობა

მხარეები ითანამშრომლებენ ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის გასაძლიერებლად, მათ შორის, დარგობრივი თანამშრომლობის გაღრმავების, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების მხარდაჭერისა და მდგრადი, მწვანე, ინკლუზიური და ციფრული ეკონომიკური ზრდის მიღწევაზე

ყურადღების გამახვილების გზით. მხარეები ითანამშრომლებენ COVID-19-ის პანდემიის სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებთან გამკლავების მიზნით, ამავდროულად მოკლევადიანი და გრძელვადიანი მედეგობის გამომუშავებით. მხარეები იმუშავებენ ერთობლივად ყველასათვის ღირსეული შრომისა და სამართლიანი სამუშაო პირობების უზრუნველყოფის, შრომის ბაზარზე თანაბარი შესაძლებლობებისა და ხელმისაწვდომობის გაძლიერების, აგრეთვე სიღარიბესა და სოციალურ გარიყულობასთან ბრძოლის მიზნით. საქართველო გააძლიერებს რეგულაციურ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან, ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესაბამისად. საქართველო ასევე გააძლიერებს ეროვნულ ინსტიტუციურ ჩარჩოს თითოეულ შესაბამის სფეროში მიღებული ახალი კანონმდებლობის დამოუკიდებელი განხორციელების, აღსრულებისა და მონიტორინგის უზრუნველსაყოფად. საქართველო რეგულარულად აცნობებს ევროკავშირს დაახლოების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ სპეციალიზებული ქვეკომიტეტების მეშვეობით და, თუ მიზანშეწონილია, და ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში, ევროკავშირი დახმარებას გაუწევს და გამოცდილებას გაუზიარებს საქართველოს ხელისუფლების ორგანოებს ამ პროცესში დახმარების მიზნით.

5.1 ეკონომიკური განვითარება და საბაზრო შესაძლებლობები

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- თანამშრომლობა საქართველოს მხარდასაჭერად, რათა შექმნას სრულად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა, მიაღწიოს მდგრად, მწვანე და ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას და თანდათანობით დაუახლოოს თავისი პოლიტიკა ევროკავშირის პოლიტიკას, მაკროეკონომიკური სტაბილურობის, მყარი საჯარო ფინანსების, ძლიერი ფინანსური სისტემის და მდგრადი საგადამხდელო ბალანსის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად;
- მაკროეკონომიკური განვითარების მონიტორინგი, პოლიტიკასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევების განხილვა და ინფორმაციის გაცვლა საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად რეგულარული მაკროეკონომიკური დიალოგის გაძლიერების გზით;
- საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობისა და მარეგულირებელი შესაძლებლობების გაძლიერება და ევროკავშირის გამოცდილების გაზიარება ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკასთან, მათ შორის, ევროს საერთაშორისო როლთან დაკავშირებით, აღნიშნულ სფეროებში საქართველოს შესაძლებლობების შემდგომი განვითარების მიზნით;

- საჯარო ფინანსების მდგრადობისა და მართვის შემდგომი გაუმჯობესება ფისკალური რეფორმების გაუმჯობესების გაგრძელებით;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების ეფექტიანობის გაუმჯობესება და დაკავშირებული ფისკალური რისკების შემდგომი შემცირება კორპორაციული მმართველობის სტანდარტების დანერგვით;
- მდგრადი, ყოვლისმომცველი და მიზანმიმართული სოციალური უსაფრთხოების ქსელის შექმნა;
- შრომის ბაზარზე და ბიზნესში ქალთა მეტი ჩართულობის წახალისება, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას;

5.2 სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმების განხორციელების უზრუნველყოფა;
- სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის სურსათის უვნებლობის კომპონენტის სტრატეგიული დოკუმენტის მიღება 2021 წლისთვის და მისი განხორციელება;
- სოფლის განვითარების ინსტიტუციური რეფორმის განხორციელება;
- ეფექტიანი ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების ხელშეწყობა, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა შერჩეულ სექტორებში მაღალი საექსპორტო ღირებულების მხრივ მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით; და პრიორიტეტული ღირებულებათა ჯაჭვის და სავაჭრო პრიორიტეტების არჩევანს შორის თანმიმდევრულობის განმტკიცება;
- ქალებისთვის შესაძლებლობების უზრუნველყოფა დივერსიფიცირებულ სოფლის ეკონომიკაში;
- სოფლად ყველა სახელმწიფო სერვისის მიწოდების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ყველაზე შორეულ სოფლებში, ისე, რომ არავინ დარჩეს ამ შესაძლებლობის გარეშე.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტების მოდერნიზაცია და მათი ეფექტიანობის გაუმჯობესება, მათ შორის, ამ პროცესში დარგის ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის მონაწილეობის გზით; სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის კოორდინაციის მექანიზმის შემდგომი გაძლიერება;

- კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის, ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და სხვა კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის წახალისება და ხელშეწყობა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და შენახვის პროცესების მოდერნიზაცია და გაუმჯობესება საქართველოს სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობის, დამატებითი ღირებულებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისთვის მარკეტინგის სტანდარტების ეტაპობრივი მიღების ხელშეწყობა სურსათის უვნებლობის უფრო მაღალი სტანდარტის მხარდაჭერისა და ხარისხის უზრუნველყოფის სქემების განხორციელების გაგრძელების მიზნით, მათ შორის, ორგანული სოფლის მეურნეობისა და პროდუქციის გეოგრაფიული აღნიშვნებით;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა და მდგრადობის გაუმჯობესება, მათ შორის, მასშტაბის ეკონომიის ხელშეწყობით ბაზარზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და მწარმოებელი ორგანიზაციების მეშვეობით, წარმოებისა და ექსპორტის გაზრდის მიზნით საკონსულტაციო და ცოდნის ასამაღლებელი სისტემების განვითარებით, ორგანული წარმოების ხელშეწყობითა და სოფლის მეურნეობისთვის სიცოცხლისუნარიანი საკრედიტო და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის გამარტივებით;
- ევროკავშირის მიღებული მოდელების საფუძველზე პროგრესული დაახლოების და სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების ეფექტური პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა;
- სოფლად დასაქმებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება ბუნებრივი რესურსების გაუმჯობესებული მართვის, გაუმჯობესებული მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის, აგრეთვე სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციის გზით.

5.3 სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი და გარე აუდიტი

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- დეცენტრალიზებული მართვის პასუხისმგებლობის ფარგლებში შიდა კონტროლის სისტემის, მათ შორის, სახელმწიფო ორგანოებში ფუნქციონალურად დამოუკიდებელი შიდა აუდიტის, შემდგომი განვითარება საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებთან, ჩარჩოებსა და ევროკავშირის კარგ პრაქტიკასთან ჰარმონიზაციის უზრუნველყოფის გზით.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- საჯარო სექტორში შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის სისტემის გაუმჯობესების გაგრძელება არსებულ პრაქტიკასა და საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს, ჩარჩოებსა და ევროკავშირის კარგ პრაქტიკას შორის არსებული სხვაობის შეფასების საფუძველზე;
- აუდიტის სასამართლოს (საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური) გარე აუდიტის ფუნქციის შემდგომი განვითარება საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (INTOSAI).

5.4 საზოგადოებრივი ჯანდაცვა

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისი დანართებით გათვალისწინებული ჯანდაცვის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობის შემდგომი განხორციელება, კერძოდ, სისხლის უსაფრთხოების, თამბაქოს კონტროლის, ადამიანის ბიოლოგიური მასალის (სისხლის ქსოვილები, ორგანოები, უჯრედები) ხარისხისა და უსაფრთხოების, გადამდები დაავადებების და პანდემიისთვის მზადყოფნის სფეროებში, რაც ასევე შეესაბამება საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ ჩარჩოკონვენციისა და ჯანმრთელობის შესახებ საერთაშორისო რეგულაციების თანახმად;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გავრცელების გაუმჯობესება და პაციენტთა მიერ გასაღები ხარჯების შემცირება. გაციფრულების მოცულობის გაზრდა (ელექტრონული ჯანდაცვა);
- პირველადი ჯანდაცვის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, რაც მიზნად ისახავს დაავადებათა პრევენციასა და სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებას;
- ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმების დასრულება, მიღება და მათი განხორციელების დაწყება;
- ეროვნული მრავალდარგობრივი ქმედების გაძლიერება ანტიმიკრობული რეზისტენტობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, მათ შორის, ჯანდაცვის პირობებში ზედამხედველობის, ანტიმიკრობული საშუალებების ფრთხილი გამოყენებისა და ინფექციის კონტროლის გაძლიერების გზით;
- „ადამიანის მიერ მოხმარებისთვის განკუთვნილი ფარმაცევტული საშუალებებისთვის ტექნიკური მოთხოვნების ჰარმონიზაციის საერთაშორისო საბჭოს“ (ICH) განსახორციელებლად მომზადება, ფარმაციის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ფარგლებში. ეს საქართველოს შეუქმნის კარგ საფუძველს მედიკამენტების ხარისხის, უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- ჯანდაცვისა და პრევენციულ მომსახურებათა ჩართულობის გაუმჯობესება, მაგალითად, ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ჩართულობით;
- პოლიტიკის შემუშავების გაძლიერება და სამედიცინო დაწესებულებების, აგრეთვე პაციენტთა უფლებებისა და მათი განხორციელების შესაძლებლობის კონტროლი;
- სამედიცინო დაწესებულებების, რომელთა უმეტესობაც არის კერძო, და მათი ანგარიშვალდებულების გაძლიერება ხარისხობრივი მაჩვენებლების, ღირებულებაზე დაფუძნებული შესყიდვების და ხარისხის მართვის სხვა პროცესების დანერგვის გზით, მათ შორის, აკრედიტაციის საერთაშორისო ორგანოების მიერ სამედიცინო დაწესებულებების აკრედიტაციის აღიარებით.

5.5 დაბეგვრა

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- საგადასახადო კანონმდებლობის გაუმჯობესება და გამარტივება;
- საგადასახადო საკითხებში კარგი მმართველობის ხელშეწყობა, საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესება და საგადასახადო სფეროში კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვა, მათ შორის, როგორცაა გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სტანდარტები, სამართლიანი დაბეგვრა და დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) მინიმალური სტანდარტები;
- საგადასახადო ორგანოს შესაძლებლობების გაუმჯობესება, კერძოდ, საგადასახადო კონტროლისა და დღგ-ის დაბრუნების უფრო ფოკუსირებულ და რისკებზე დაფუძნებულ სისტემაზე გადასვლის გზით;
- ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისთან თანამშრომლობის გაძლიერება აქციზურ საქონელთან დაკავშირებული თაღლითობისა და კონტრაბანდის აღკვეთის და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით;
- აქციზურ საქონელთან დაკავშირებული თაღლითობისა და კონტრაბანდის აღკვეთის და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით პოლიტიკის ჰარმონიზაციის მიზნით ზომების მიღება, მათ შორის, პოლიტიკის ძირითად სფეროებში.
- საქართველოსთან თანამშრომლობა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობის აღმოფხვრის ოქმთან მიერთებისა და მისი წარმატებით განხორციელების მიმართულებით;

- ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საგადასახადო ორგანოებთან თანამშრომლობის განვითარება დაბეგვრის სფეროში ახალი გამოცდილებისა და ტენდენციების გაცვლის გზით, მათ შორის, საქართველოს საგადასახადო ორგანოს ევროკავშირის პროგრამაში Fiscalis ჩართვის შესაძლებლობების შესწავლით.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- თამბაქოს ნაწარმზე ეროვნული აქციზის გადასახადის განაკვეთების ევროკავშირის დაბეგვრის დონეებთან ეტაპობრივად შესაბამისობაში მოყვანა (2026 წლისთვის);
- საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივად შესაბამისობაში მოყვანა საბჭოს 2003 წლის 27 ოქტომბრის დირექტივასთან 2003/96/EC „ენერგოპროდუქტებისა და ელექტროენერჯის დაბეგვრის ევროგაერთიანების ჩარჩოს რესტრუქტურის შესახებ“.

5.6 სტატისტიკა

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- ევროკავშირი-საქართველოს ორმხრივი სავაჭრო მონაცემების განსაზღვრისას არსებული სტატისტიკური შეუსაბამოების აღმოფხვრა;
- სქესის ნიშნით გაყოფილი მონაცემების შემუშავება და მათი გამოყენება ანალიზისა და ანგარიშების მიზნებისთვის.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოების უზრუნველყოფა;
- საქართველოში მოსახლეობის რეესტრის შექმნა;
- რეგიონული სტატისტიკის წარმოება „სტატისტიკის მიზნებისთვის ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურის“ (NUTS) კლასიფიკაციის შესაბამისად;
- სტატისტიკის მიზნებისთვის ადმინისტრაციულ მონაცემების ხელმისაწვდომობისა და მათი გამოყენების გაზრდა;
- მკვლევრებისთვის, ჟურნალისტებისა და ფართო საზოგადოებისთვის სტატისტიკისა და მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გაგრძელება;
- ბიზნეს-სტატისტიკის მეთოდოლოგიის შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის სტანდარტებთან და ბიზნეს-სტატისტიკასთან, რომელიც ორიენტირებულია ინტეგრირებული ბიზნეს-სტატისტიკის ჩარჩოვით (FRIBS) გათვალისწინებულ მონაცემებთან

დაკავშირებულ სამომავლო მოთხოვნებზე; აღნიშნული რეგულაციის განხორციელების სფეროში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა სასურველია შესაბამისობაში მოყვანის პროცესის გასაძლიერებლად;

5.7 მომხმარებელთა პოლიტიკა

- საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან და საერთაშორისო ინსტრუმენტებთან ეტაპობრივი დაახლოების გაგრძელება;
- საქართველოში მომხმარებელთა დაცვის გაძლიერება, განსაკუთრებით ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისა და მისი შემდგომი განხორციელების საკითხებზე სახელმწიფო მოხელეების და მომხმარებელთა ინტერესების სხვა წარმომადგენლების ტრენინგის საშუალებით.

5.8 კორპორაციული სამართალი, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი და კორპორაციული მმართველობა

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის განხორციელება ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართის მოთხოვნების შესაბამისად.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებების ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება;
- აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შემდგომი დანერგვა ეროვნულ დონეზე და სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი ყველა აუდიტორის მიერ მათი ეროვნულ დონეზე გამოყენების ხელშეწყობა;
- მოქმედი კანონმდებლობის მდგომარეობის და ევროკავშირის კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობის შესახებ დროული, შესაბამისი და ზუსტი ინფორმაციის გაცვლა მხარეთა შორის შეთანხმებული ფორმატის საფუძველზე, ევროკავშირის კანონმდებლობის შეთანხმებულ ვადებში განხორციელების მიზნით.

5.9 ფინანსური მომსახურება

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო დაზღვევის შემოღების შესახებ კანონის მიღება და განხორციელება;
- იმ სფეროების განსაზღვრა, სადაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტრენინგი და შესაძლებლობათა ზრდა;
- საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მდგომარეობისა და განვითარების შესახებ დროული, შესაბამისი და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- მარეგულირებელი და საზედამხედველო ჩარჩოს შემდგომი განვითარება საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული მარეგულირებელი სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის, როგორცაა ახალი საზედამხედველო მიდგომა, საშუალებები და ინსტრუმენტები;
- საზედამხედველო ორგანოების ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაუმჯობესება;
- ფინანსური ბაზრების დივერსიფიკაციის ხელშეწყობა სადაზღვევო, კაპიტალის, საპენსიო და არასაბანკო ფინანსური მომსახურების ბაზრების განვითარებით. ფინანსური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ფინანსური მდგრადობისა და ჩართულობის ხელშეწყობა;
- საქართველოს ძალისხმევის მხარდაჭერა ევრო გადახდის ერთიან სივრცეში (SEPA) საბოლოო გაწვევრიანებისთვის საჭირო კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიმართულებით.

5.10 სამრეწველო და საწარმოო პოლიტიკა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების განხორციელება;
- მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიის ბიუჯეტით გათვალისწინებული მონაცვლის, მათ შორის, შესრულების საზომი ჩარჩოს, შემუშავება. კერძო სექტორთან კონსულტაციების უზრუნველყოფა. მცირე და საშუალო საწარმოების სააგენტოებისთვის მკაფიო ამოცანების (მათ შორის, შესრულების ძირითადი ინდიკატორების) განსაზღვრა, ამავდროულად საოპერაციო დამოუკიდებლობისა და უწყვეტობის უზრუნველყოფით.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- ქვეყანაზე ორიენტირებული საგზაო რუკისა და „მცირე ბიზნესის აქტის“ (SBA) შეფასების რეკომენდაციების შეძლებისდაგვარად განხორციელება;

- მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების დაკავშირება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცით შექმნილ შესაძლებლობებთან, მათ შორის, ბიზნესის (მხარდაჭერის) ქსელებისა (როგორცაა ევროპის მეწარმეთა ქსელი) და კლასტერების მეშვეობით;
- კერძო-საჯარო დიალოგის გაძლიერება ყველა ზომის საწარმოსა და მათი ასოციაციების მარეგულირებელი ქმედებების მომზადებაში ჩართვის გაუმჯობესების მიზნით და მათი დროულად ინფორმირება განხორციელების ზომების შესახებ, რათა საწარმოებმა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებმა, მოახდინონ ახალ ზომებთან ადაპტაცია;
- ქართული დამწყები საწარმოებისთვის (სტარტაპებისთვის) შესაძლებლობების განვითარება ევროკავშირისა და საქართველოს ბაზრებზე შესასვლელად;
- მცირე და საშუალო საწარმოებთან კავშირების დამყარებისა და მათთვის დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; სამეწარმეო საქმიანობისთვის არასაბანკო დაფინანსების განვითარება, როგორცაა ვენჩერული კაპიტალი, სახალხო დაფინანსება, სოციალური საწარმო;
- გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის მხარდაჭერა საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების მიმართულებით, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესში მეწარმე ქალთა წილის გაზრდის, მათთვის დაფინანსების ხელმისაწვდომობის და ა.შ. ხელშეწყობით;
- ახალგაზრდებს შორის მეწარმეობის ხელშეწყობა და ახალგაზრდების მიმართვა მეწარმეობასა და დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ეკოსისტემისკენ;
- კორპორაციული თანამშრომლობის გაუმჯობესების ხელშეწყობა ბიზნესკლასტერების განვითარებისა და გაძლიერების გზით, მდგრად, მწვანე და ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე ყურადღების გამახვილებითა და მეტად წრიულ ეკონომიკაზე გადასვლის შედეგად შექმნილი შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- მწარმოებლურობის გაზრდა, მაგალითად, ეკონომიკის შემდგომი გაციფრულების და საჯარო და კერძო სექტორებში ინოვაციური პრაქტიკის განხორციელების, აგრეთვე სტრატეგიული მნიშვნელობის ღირებულებათა ჯაჭვის გაციფრულების პრიორიტეტულობის გზით;
- შესაბამისი ქვეკომიტეტის მეშვეობით ინფორმაციის გაცვლა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასა და ლითონებთან დაკავშირებით საქართველოსა და ევროკავშირის პოლიტიკის უკეთ გაგების მიზნით, მათ შორის, ევროკავშირის ნედლეულის ინიციატივის, კრიტიკულად მნიშვნელოვან ნედლეულთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმის, კვლევითი პროგრამის „ჰორიზონტი 2020“ და მისი მემკვიდრე პროგრამის „ჰორიზონტი ევროპა“, აგრეთვე ნედლეულთან დაკავშირებული ევროპის ინოვაციური პარტნიორობის განხორციელება.

5.11 ტურიზმი

- *Inter alia*, შესაბამისი ქვეკომიტეტის საშუალებით ინფორმაციის გაცვლა საქართველოსა და ევროკავშირში ტურიზმის განვითარებასთან, მათ შორის, შესაბამის ღონისძიებებსა და საუკეთესო პრაქტიკასთან, დაკავშირებით და საქართველოს მხარდაჭერა მისი ტურიზმის სტრატეგიის განხორციელებაში.

5.12 დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების გაგრძელება ისეთ სფეროებში, როგორცაა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა, შრომის კანონმდებლობა, გენდერული თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისი დანართით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;
- ყოველგვარი შრომის კანონმდებლობისა და სამუშაო პირობების ეფექტიანი აღსრულებისა და ზედამხედველობის სისტემისთვის სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა და განხორციელება საერთაშორისო და ევროკავშირის პრინციპების შესაბამისად, აგრეთვე სოციალური პარტნიორების, სასამართლო სისტემისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების ზრდა დაახლოებულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით;
- „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის განხორციელება და ახლად შექმნილი დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა, კერძოდ, რესურსების (ბიუჯეტი, პერსონალი) უზრუნველყოფა;
- შრომის ბაზრის 2020-2023 წლების სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების განხორციელება;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სოციალური მომსახურების შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება;
- ახალგაზრდების მუშაობაზე გადასვლის აქტიური მხარდაჭერის გაძლიერება ყველა ახალგაზრდისთვის საჭირო უნარების გამომუშავებისა და პრაქტიკული გამოცდილების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფით, განათლებიდან შრომის ბაზარზე გადასვლის შემსუბუქების მიზნით;

- სოციალური დაცვის სისტემის ისე მოწყობა, რომ ხელი შეუწყოს აქტივაციას (შრომის ბაზარზე მონაწილეობას), აგრეთვე სოციალური დახმარებისა და საპენსიო სქემების შესაბამისობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- შრომის ინსპექციის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფის გაგრძელება საერთაშორისო და ევროკავშირის პრაქტიკის შესაბამისად, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის და შრომის კანონმდებლობის სფეროებში ადმინისტრაციული და აღსრულების შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე შესაბამისი სასამართლო ორგანოებისა და დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერების გაგრძელება;
- ახლად შექმნილი დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერების გაგრძელება ევროპის დასაქმების სახელმწიფო სამსახურების პრაქტიკის შესაბამისად, აგრეთვე დასაქმების ხელმისაწვდომი და ეფექტიანი მომსახურების უზრუნველყოფა;
- ახალგაზრდების სამუშაოზე გადასვლის ხელშესაწყობად საპილოტე მიდგომების უზრუნველყოფა;
- შრომის ბაზრის 2020-2023 წლების სტრატეგიის განხორციელებისა და შედეგების მონიტორინგი;
- კარგად ფუნქციონირებადი სოციალური დიალოგის შენარჩუნება სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის და მისი რეგიონული ფილიალის ეფექტური ფუნქციონირებისა და სოციალური პარტნიორობის შესაძლებლობათა გაძლიერების გზით;
- დარგთაშორისი ღონისძიებების მხარდაჭერა მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი პირებისთვის სამუშაოს ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით;
- სოციალური კოდექსის შემუშავება, რომლის მიზანიც იქნება დასაქმებისა და სოციალური შეღავათების და ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება სოციალური კეთილდღეობის უფრო ფართო პერსპექტივიდან გამომდინარე (დასაქმება, სოციალური მობილობა, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დახმარება);
- „არაფორმალური დასაქმების“/„არადეკლარირებული სამუშაოს“ საკითხის მოსაგვარებლად ნაბიჯების გადადგმა სოციალურ პარტნიორობთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

5.13 ციფრული ეკონომიკა და საზოგადოება

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- მხარეები იმუშავებენ ერთობლივად საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის ქსელისა და ინფორმაციული უსაფრთხოების დირექტივასთან შემდგომი ჰარმონიზაციის, აგრეთვე ძირითადი კრიტიკული ინფრასტრუქტურის სექტორებისა და საჯარო სექტორის ორგანიზაციების კიბერმდგრადობის გაუმჯობესების მიზნით, ევროკავშირის შესაბამის გამოცდილებაზე, პრაქტიკასა და ნორმებზე დაყრდნობით;
- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება; კერძოდ, ელექტრონული კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობისა და ადმინისტრაციული შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება;
- როუმინგის შესახებ რეგიონული შეთანხმების (რომელსაც, სავარაუდოდ, ხელი მოეწერება 2022 წლის დასაწყისში) განხორციელება;
- სპექტრის კოორდინაციის შესახებ რეგიონული შეთანხმების (რომელსაც, სავარაუდოდ, ხელი მოეწერება 2022 წლის დასაწყისში) განხორციელება;
- საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის განხორციელება, ევროკავშირის კანონმდებლობისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით;
- საქართველოს მხარდაჭერა შავი ზღვის საშუალებით ციფრულ კავშირებთან მიმართებით;
- მხარეები ითანამშრომლებენ საქართველოს მიერ ელექტრონული იდენტიფიკაციის სქემების და ელექტრონული სანდო მომსახურების სამართლებრივი ჩარჩოების დანერგვის მიმართულებით, ევროკავშირის კანონმდებლობისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, სანდო მომსახურებასთან დაკავშირებით ურთიერთ აღიარების შესაძლო შეთანხმების მიზნით;
- საქართველოს ციფრული ეკონომიკის გაძლიერება მოქალაქეებისა და კომპანიებისთვის ციფრული უნარების, ციფრული ინოვაციებისა და დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ეკოსისტემების, კიბერუსაფრთხოების და ელექტრონული სერვისების, აგრეთვე სატელიტური მონაცემებისა და მომსახურების ათვისების მიმართულებით.

5.14 მეთევზეობა და საზღვაო პოლიტიკა

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- საზღვაო საკითხებისადმი ინტეგრირებული მიდგომის წახალისება, განსაკუთრებით საზღვაო სფეროში დარგთაშორისი და რეგიონული ინიციატივების შემუშავების ხელშეწყობით, საკოორდინაციო მექანიზმის

შექმნის და საერთო ინტერესის სფეროების განსაზღვრისა და შავი ზღვის რეგიონში ზღვისპირა სახელმწიფოებსა და საზღვაო სფეროში დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გზით, შავი ზღვისთვის საერთო საზღვაო დღის წესრიგის კონტექსტში;

- თევზჭერისა და თევზის პროდუქტებით ვაჭრობის და მათი მიკვლევადობის, აგრეთვე ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების შესაძლებლობების მონიტორინგისა და კონტროლის გაუმჯობესება და გაძლიერება, უკანონო, არადეკლარირებული და დაურეგულირებელი (IUU) თევზჭერის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის მიზნით;
- ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის (GFCM) ფარგლებში განვითარებული მოვლენებისა და მიღებული ზომების დაცვა და მისი, როგორც აღნიშნული კომისიის სრულყოფილებიანი წევრის, სტატუსის განახლების დასრულება;
- მეთევზეობისა და აკვაკულტურის მართვის განხორციელების გაგრძელება ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის 2030 წლის სტრატეგიის შესაბამისად, შავ ზღვაში მეთევზეობის მდგრადობისა და აკვაკულტურის მდგრადი განვითარების მიმართულებით;
- საქართველოს შორეული ნაოსნობის ფლოტის თევზჭერისა და თევზჭერასთან დაკავშირებული საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს და ასეთი სამართლებრივი ჩარჩოს განმახორციელებელი მექანიზმების მიღების მიმდინარე პროცესის გაგრძელება, უკანონო, არადეკლარირებული და დაურეგულირებელი თევზჭერის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის მიზნით.

სამშალავადიანი პრიორიტეტები

- შავ ზღვაზე მდგრადი მეთევზეობის მისაღწევად აუცილებელი ნაბიჯების გადადგმა, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ჩარჩოში, მეთევზეობის მართვისადმი ეკოსისტემური მიდგომის საფუძველზე;
- სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობის გაზრდა როგორც რეგიონულ, ისე ორმხრივ დონეზე, მეთევზეობის, მონაცემების შეგროვებისა და ზღვაზე ჩატარებული კვლევების მონიტორინგის შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, თევზის მარაგის მდგომარეობისა და მეთევზეობის საზღვაო გარემოსთან ურთიერთქმედების შეფასების გაუმჯობესების მიზნით;
- მეთევზეობის ტექნიკური დახმარების შესაძლებლობების გამოყენება მეთევზეობის მონიტორინგის ცენტრისა და თევზსაჭერი გემების ელექტრონული მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირების მხარდასაჭერად კონტროლისა და მეთვალყურეობის შემდგომი განვითარების ზედამხედველობის მეშვეობით;
- აუცილებელი ზომების მიღება სამართლებრივი ჩარჩოს სათანადოდ განხორციელების უზრუნველსაყოფად, რომელიც მოიცავს საქართველოს

შორეული ნაოსნობის ფლოტის თევზჭერისა და თევზჭერასთან დაკავშირებულ საქმიანობას, მათ შორის, მათი საქმიანობის მონიტორინგის, კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმებს, უკანონო, არადეკლარირებული და დაურეგულირებელი თევზჭერის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის მიზნით;

- შავი ზღვისთვის საერთო საზღვაო დღის წესრიგის განხორციელებისა და ბანკისთვის მისაღები პროექტების დადგენის აქტიური მხარდაჭერა;
- მცირე ზომის მეთევზეობისა და აკვაკულტურის განვითარებისთვის პირობების გაუმჯობესება, მონაცემების შეგროვების გაძლიერება, ადგილობრივ ბაზრებზე და მიწოდების ჯაჭვზე წვდომის გაუმჯობესება, მცირე ზომის მეთევზეობისა და აკვაკულტურის პროდუქტების სურსათის უვნებლობის ნორმების გაუმჯობესება, აგრეთვე მწარმოებელთა ორგანიზაციების შექმნის წახალისება.

6. ურთიერთკავშირები, ენერგეტიკა, გარემო, კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები და სამოქალაქო დაცვა

მხარეები ითანამშრომლებენ ტრანსპორტის ყველა სახეობასთან დაკავშირებული ევროკავშირის კანონმდებლობის განხორციელების ხელშეწყობის მიმართულებით, ფიზიკური კავშირის და ასევე მასთან დაკავშირებული სტანდარტებისა და მარეგულირებელი და უსაფრთხოების ასპექტების გაუმჯობესების მიზნით. მხარეები იმუშავებენ ერთობლივად გარემოსა და კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობის მიღწევის მიმართულებით, თანამედროვე, რესურსდამზოგველი, სუფთა და წრიული ეკონომიკის ხელშეწყობის გზით, მათ შორის, COVID-19-ის პანდემიის შემდგომი აღდგენის ძალისხმევის ფარგლებში, რაც განაპირობებს ეკონომიკის გამწვანებასა და ბუნებრივი რესურსების უფრო მდგრად გამოყენებას. ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის გამოყენების ხელშეწყობა და მხარდაჭერა დამატებით წვლილს შეიტანს გამონაფრქვევის შემცირებაში. დამატებით გაძლიერდება თანამშრომლობა კატასტროფების პრევენციის, მათთვის მზადყოფნისა და მათზე რეაგირების მიმართულებით.

6.1 ტრანსპორტი

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- ევროკავშირის საავიაციო კანონმდებლობის განხორციელება საქართველო-ევროკავშირის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმებიდან სრული სარგებლის მისაღებად;
- ტრანსპორტის ყველა სახეობის (საჰაერო, საავტომობილო, საზღვაო და სარკინიგზო) უსაფრთხოების გაუმჯობესება;

- საქართველოს მხარდაჭერა საგზაო უსაფრთხოების ყოვლისმომცველი მონაცემთა ბაზის შექმნის მიმართულებით, საგზაო უსაფრთხოების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ აუცილებელი მონაცემების (ავტოსაგზაო შემთხვევების/სერიოზული ტრავმების შესახებ მონაცემები) უზრუნველყოფის მიზნით, რაც იძლევა პოლიტიკასთან დაკავშირებული უფრო ეფექტიანი ქმედებების განხორციელების საშუალებას;
- საგზაო უსაფრთხოების მნიშვნელობის გათვალისწინებით, საქართველოს შემდგომი მხარდაჭერა საგზაო უსაფრთხოების კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის, მათ შორის, საგზაო უსაფრთხოების მართვისა და შესაძლებლობათა ზრდის, მიმართულებით;
- საქართველოს სარკინიგზო სექტორის რეფორმის ხელშეწყობა, რამაც შესაძლოა, კერძოდ, ხელი შეუწყოს უფრო მდგრადი ტრანსპორტის განვითარებას, ტვირთის საავტომობილო გზებიდან რკინიგზაზე გადატანის საშუალებით;
- ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება, კერძოდ, ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელის საორიენტაციო საინვესტიციო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროექტების განხორციელების გზით, 2030 წლისთვის საქართველოში გაფართოებული ძირითადი ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელის დასრულების მხარდაჭერის მიზნით; დაკავშირების კუთხით შავი ზღვის აუზის დამაკავშირებელი ხიდის ფუნქციის შემდგომი განვითარების საკითხის გათვალისწინება;
- საქართველოს მხარდაჭერა მდგრადი ურბანული მობილობის გეგმების შემუშავებაში და იმ აქტივობებში, რომლებიც მიზნად ისახავს ურბანული მობილობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ (მანქანის გამოყენებასთან დაკავშირებით) ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის, უსაფრთხოების, ეფექტიანობისა და მდგრადობის გაზრდის მიზნით.

6.2 თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- საქართველოს მიერ მისი, როგორც ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი მხარის, ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა;
- ელექტროენერჯის, განახლებადი ენერჯის, ენერგოეფექტურობის, ნავთობის, გაზის, ენერგეტიკის სტატისტიკის, ნახშირწყალბადის აღმოჩენის სფეროებში შესაბამისი კანონმდებლობისა და ენერგეტიკასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი დებულებების განხორციელება, ენერგეტიკული გაერთიანების შეთანხმებასთან მიერთების ოქმითა და ასოცირების შესახებ შეთანხმებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

- ენერგოეფექტურობის პოლიტიკის ინსტიტუციური ჩარჩოს დასრულება და განხორციელება;
- ქვეყნის ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული გეგმის (NECP) მომზადება და მისი განხორციელების დაწყება.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- ნაბიჯების გადადგმა საქართველოს ენერგობაზრის ევროკავშირის ენერგობაზართან ინტეგრაციის მიმართულებით, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და რეგულაციური დაახლოების გაძლიერება ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის, მათ შორის, აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებული მეორადი კანონმდებლობის, განხორციელების გზით, ენერგეტიკული გაერთიანების წინაშე აღებული ვალდებულებების შესაბამისად;
- თანამშრომლობა მდგრადი ენერგოგანვითარებისთვის საერთაშორისო მხარდაჭერის მოზიდვის მიმართულებით, მათ შორის, საერთაშორისო კლიმატური ფონდებიდან და სხვა ფინანსური ინსტრუმენტებიდან;
- საქართველოს ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ქსელისა და ურთიერთჩართვის სისტემების გაძლიერება, კერძოდ:
 - ელექტროენერგიასთან დაკავშირებით – ტრანსსასაზღვრო ვაჭრობისა და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთჩართვის სისტემების ხელშეწყობა და საქართველოს ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის გაძლიერება; შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის და ასევე სხვა პროექტების განხორციელების შესაძლებლობის შემდგომი შეფასება, რომლებიც ემსახურება ელექტროენერჯის მიწოდების უსაფრთხოებას და, ზოგადად, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას რეგიონში;
 - ბუნებრივ გაზთან დაკავშირებით – მაგისტრალური გაზსადენების, მათ შორის, სამხრეთის გაზის დერეფნის საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული ნაწილის, უწყვეტი სათანადო ფუნქციონირების ხელშეწყობა, აგრეთვე რეგიონული მნიშვნელობის გაზის და ნავთობის ტრანზიტის სხვა პროექტების მხარდაჭერა/წახალისება დასავლეთის ბაზარზე კასპიის ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მიწისქვეშა გაზსაცავის განვითარების ხელშეწყობა საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, ამავდროულად 2050 წლისთვის ევროკავშირის კლიმატის ნეიტრალიტეტის მიზნის აღიარებით.

6.3 გარემო

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- გარემოსდაცვითი მმართველობის გაძლიერება საქართველოში გარემოზე ზემოქმედების შეფასებასა და სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის განხორციელებით, გარემოსდაცვით პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის მიღებითა და განხორციელებით, საზოგადოებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფით, აგრეთვე ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, პოლიტიკის სხვა სფეროებში გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირებით და გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაზიარების მექანიზმის გაუმჯობესებით, ერთიანი გარემოსდაცვითი ინფორმაციის სისტემის (SEIS) პრინციპების შესაბამისად;
- რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის განხორციელების გაგრძელება;
- წყლის რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონის მიღებითა და მისი განხორციელების დაწყებით;
- ახალი ტყის კოდექსის განხორციელება და დამხმარე კანონმდებლობის მიღება; ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფო ტყის მართვის ორგანოს შექმნა; ტყის ეროვნული აღრიცხვის დასრულება და მონაცემთა ბაზის წარმოება;
- საქართველოს მესამე გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამის (2017-2021 წწ.) განხორციელება მასში გაწერილი ვადების შესაბამისად;
- საქართველოს მეოთხე გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამის შემუშავება, წყლის რესურსების ხუთწლიანი პროგრამის ჩათვლით, რომელიც მოიცავს როგორც სტრატეგიულ მიდგომებს, ისე სამოქმედო გეგმას;
- ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის და 2016-2020 წლების სამოქმედო გეგმითა და შემდგომი გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;
- ნარჩენების მართვის ობიექტების საოპერაციო ხარჯების სათანადო შეფასების უზრუნველყოფა და მათი აღდგენის სათანადო სატარიფო სისტემის შექმნა.

სამუალოვადიანი პრიორიტეტები

- მწვანე და წრიული ეკონომიკის ეკონომიკური პოტენციალის გამოყენება და მწვანე ზრდის ყოვლისმომცველი პოლიტიკის შემუშავება ყველა შესაბამის დარგში, მაგალითად, საქართველოს მწვანე იმიჯის კონკურენტულ უპირატესობად განხილვით, წრიული ეკონომიკის პრინციპების ასახვით ნარჩენების მართვის ეროვნულ სისტემაში და ა.შ.;
- საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების გაგრძელება და ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისი

დანართებით გათვალისწინებული ევროკავშირის დირექტივებისა და რეგულაციების დებულებების განხორციელება;

- ზომების მიღება და დანერგვა წყლისა და ჰაერის დაბინძურების შემცირებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით, მათ შორის, შავ ზღვაში;
- „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება და დამხმარე კანონმდებლობის შემუშავება, მათ შორის, ზურმუხტის საიტების და ბიოსფერული რეზერვატების შექმნისა და მართვისთვის, აგრეთვე გადაშენების პირას მყოფი სახეობების ეროვნული წითელი ნუსხისთვის მყარი სამართლებრივი საფუძვლის უზრუნველყოფის მიზნით. დაცული ტერიტორიების მართვის შემდგომი გაძლიერება და სათანადო დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან;
- ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის განვითარების გაგრძელება ძირითად მუნიციპალიტეტებსა და ყველაზე დაბინძურებულ ადგილებში. ყველაზე დაბინძურებულ ადგილებში დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის ზომების მიღება (ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმები). „სამრეწველო ემისიების შესახებ“ კანონის მიღება და განხორციელება;
- წყლის რესურსების მართვის ობიექტების საოპერაციო ხარჯების სათანადო შეფასების უზრუნველყოფა და მათი აღდგენის სათანადო ეკონომიკური ინსტრუმენტების შემუშავება;
- მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების რატიფიცირებისა და განხორციელების საგზაო რუკის შედგენა, რომელიც მოიცავს ევროპისთვის გაეროს ეკონომიკური კომისიის (UNECE) კონვენციას „ტრანსსასაზღვრო წყალსადინარებისა და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ“, „შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ“ კონვენციის ოქმებს (ოქმი „ჟანგვის, ევტროფიკაციისა და მიწისპირა ოზონის დონის შემცირების შესახებ“, ოქმი „მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ“ და ოქმი „მძიმე ლითონების შესახებ“), აგრეთვე ევროპისთვის გაეროს ეკონომიკური კომისიის (UNECE) კონვენციას „სამრეწველო ავარიების ტრანსსასაზღვრო გავლენის შესახებ“. „ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ (ესპოს) კონვენციისა და მისი „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ“ ოქმის მხარედ გახდომისთვის მოსამზადებელი სამუშაოების წინ წაწევა.

6.4 კლიმატის ცვლილება

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- „კლიმატის ცვლილების საბჭოს“ ამოქმედება, საქართველოში კლიმატის ცვლილების პოლიტიკის კოორდინაციის მიზნით;

- საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი, სათბურის გაზების დაბალემისიანი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების დასრულება და მისი მიღება;
- ადაპტაციის ეროვნული გეგმის (NAP) შემუშავება და მიღება;
- „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტის“ განხორციელების დაწყება კლიმატის ცვლილების შესახებ პარიზის შეთანხმების შესაბამისად;
- COVID-19-დან აღდგენის ღონისძიებების ფარგლებში ძალისხმევის გაწევა ეკონომიკის გამწვანების მიმართულებით ისე, რომ ამან ზიანი არ მიაყენოს გარემოსდაცვით და კლიმატთან დაკავშირებულ მიზნებს.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო ინსტრუმენტებთან, ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისი დანართების თანახმად;
- ენერგეტიკული გაერთიანების ფარგლებში საქართველოს მიერ აღებული, კლიმატთან დაკავშირებული ქმედებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დროული განხორციელების მხარდაჭერა;
- დარგობრივ პოლიტიკასა და ღონისძიებებში კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების ჩართვა და სხვადასხვა ორგანოების შესაძლებლობათა გაძლიერება დარგების მიხედვით კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელების მიზნით;
- საქართველოს გამჭვირვალობის ჩარჩოს გაძლიერება კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების მიმართულებით, კერძოდ, კლიმატთან დაკავშირებული პოლიტიკის, ღონისძიებებისა და სათბურის გაზების ემისიების მონიტორინგისა და ანგარიშგების ძლიერი ეროვნული სისტემის მეშვეობით, პარიზის შეთანხმების „კატოვიცეს წესების“ შესაბამისად.

6.5 სამოქალაქო დაცვა

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- 2018 წელს ხელმოწერილ ადმინისტრაციულ შეთანხმებასთან ერთად გაზების ძიება თანამშრომლობის ყველაზე შესაფერისი ელემენტების გამოკვეთის მიზნით საქართველოს რისკის პროფილთან, საკანონმდებლო და ორგანიზაციულ ჩარჩოებთან მიმართებით, ევროკავშირის რეგიონული მიდგომის ფარგლებში.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- 24-საათიან რეჟიმში ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფა, მათ შორის, ადრეული გაფრთხილებებისა და ინფორმაციის გაცვლა ფართომასშტაბიან საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებით, რომლებიც გავლენას ახდენს

ევროკავშირსა და საქართველოზე, აგრეთვე მესამე ქვეყნებზე, სადაც მხარეები ჩართულნი არიან კატასტროფებზე რეაგირების პროცესში;

- ურთიერთდახმარებისა და რეგიონული დახმარების ხელშეწყობა გადაუდებელი აუცილებლობის დროს, მიზანშეწონილობის მიხედვით და საკმარისი რესურსების არსებობის გათვალისწინებით;
- მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის თაობაზე ევროკავშირის სახელმძღვანელო მითითებების განხორციელების ხელშეწყობა; ეფექტური უწყებათაშორისი კოორდინაციისა და დარგთაშორისი კავშირების წახალისება კატასტროფებზე რეაგირების ოპერაციებში საერთაშორისო დახმარების ხელშეწყობის მიზნით; საერთაშორისო დახმარების მიღებისა და უზრუნველყოფის შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება;
- კატასტროფათა რისკების შესახებ ცოდნის ბაზის გაუმჯობესება მონაცემების ხელმისაწვდომობისა და შედარებითობის მიმართულებით თანამშრომლობის გაძლიერებით;
- კატასტროფის რისკების ინტეგრირებული მართვის ხელშეწყობა მრავალგვარი საფრთხის რისკის შეფასების საფუძველზე;
- საჭიროებიდან გამომდინარე, ადრეული გაფრთხილების სისტემების ეროვნულ დონეზე შემუშავებისა და გაძლიერების მხარდაჭერა;
- საქართველოს მიერ Copernicus-ის პროგრამის წყალდიდობის გაფრთხილების ევროპული სისტემისა (EFAS) და ტყის ხანძრების შესახებ ევროპული საინფორმაციო სისტემის (EFFIS) გამოყენების ხელშეწყობა ევროკომისიის ერთობლივი კვლევების ცენტრთან თანამშრომლობით;
- საწარმოო და ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული ტექნოლოგიური ავარიების (NATECH) პრევენციისა და მათ მიმართ მზადყოფნის გაუმჯობესება;
- კატასტროფების პრევენციის, მათ მიმართ მზადყოფნისა და მათზე რეაგირების გაძლიერება კატასტროფების რისკის შემცირების სენდაის ჩარჩოსა და ევროპის მწვანე შეთანხმების შესაბამისად, რეალური საგანგებო სიტუაციებიდან ან წვრთნებიდან მიღებულ გამოცდილებასთან დაკავშირებით საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის, ერთობლივი ტრენინგების, წვრთნების, სასწავლო ვიზიტების, შეხვედრებისა და სამუშაო შეხვედრების საშუალებით. კლიმატის ცვლილების სცენარების რისკების შეფასებასა და დაგეგმვაში ინტეგრირების შესახებ კარგი პრაქტიკის გაზიარება.

7. მობილობა და ხალხთაშორისი კონტაქტები

ევროკავშირი და საქართველო ასევე ყურადღებას გაამახვილებენ უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოების გზით ახალგაზრდების მონაწილეობასა და ლიდერობაზე. მხარეები დამატებით ითანამშრომლებენ საქართველოსთვის პროგრამებთან „ჰორიზონტი ევროპა“ და „კრეატიული ევროპა“ ასოცირების

სარგებლის მაქსიმალურად გაზრდის მიმართულებით, აგრეთვე დამატებით წახალისებენ საქართველოს ისედაც აქტიურ მონაწილეობას Erasmus+-ისა და ევროპის სოლიდარობის კორპუსის პროგრამებში, ისევე როგორც მოხალისეობრივ, თანამშრომლობით და გაცვლით პროგრამებსა და ინიციატივებში.

მხარეები წახალისებენ პროფესიული განათლებისა და მომზადების მიმართ სტრატეგიულ მიდგომას. ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობისთვის ასევე პრიორიტეტული იქნება საქართველოს ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარება. ორივე მხარე უზრუნველყოფს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესაძლებლობებსა და შედეგებთან დაკავშირებით საქართველოს მოქალაქეებთან კარგად ინფორმირებული დისკუსიების ჩატარებას ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების გზით, რომლის მიზანიც იქნება ახალგაზრდების განვითარებისთვის მდგრადი ეკოსისტემის შექმნა.

7.1 კვლევები, ტექნოლოგიური განვითარება და ინოვაციები

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- 2022-2032 წლების განათლებისა და მეცნიერების ახალი სტრატეგიის მიღება და განხორციელება, რომელშიც ჩართული იქნებიან პოლიტიკის შემუშავებლები, აკადემიური და კვლევითი საზოგადოების, ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები;
- ინოვაციური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მხარდაჭერა, მათ შორის, კვლევებისა და ინოვაციების მარეგულირებელი ჩარჩოსა და ინფრასტრუქტურის გადახედვა;
- მთავარ დაინტერესებულ მხარეებს (სამინისტროები და უწყებები) შორის უკეთესი კოორდინაციისა და ურთიერთშევესების უზრუნველყოფა; ცოდნის გადაცემის გაუმჯობესება (საბროკერო ქსელის და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ხელსაყრელი რეჟიმის მეშვეობით); კომპეტენციის ცენტრების მეშვეობით თანამშრომლების წახალისება; დაფინანსების სქემების დახვეწა ერთობლივი კვლევებისა და ინოვაციების საჭიროებების შესაბამისად; აგრეთვე კვლევასა და ბიზნესს შორის ადამიანური რესურსების მობილობის გაუმჯობესება;
- საქართველოს ასოცირება პროგრამასთან „ჰორიზონტი ევროპა“.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- საქართველოსთვის „ჰორიზონტი ევროპა“ პროგრამასთან ასოცირების სარგებლის მაქსიმალურად გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური ზრდის ამაღლებას;

- კონკურენტულ საფუძველზე ევრატიომის კვლევისა და ტრენინგის პროგრამის ფარგლებში მონაწილეობის წახალისება, რომელიც ავსებს პროგრამას „ჰორიზონტი ევროპა“, კერძოდ, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში;
- ადამიანური, მატერიალური და ინსტიტუციური რესურსების გაძლიერება კვლევისა და ინოვაციების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით;
- სათანადოდ ფუნქციონირებადი კვლევისა და ინოვაციების საინფორმაციო სისტემის შემუშავება, რომელიც შეამცირებს ფრაგმენტაციას (კვლევისა და ინოვაციების ცენტრების შექმნის გზით) და უზრუნველყოფს კვლევისა და ინოვაციების პრიორიტეტების ეკონომიკურ პრიორიტეტებთან შესაბამისობაში მოყვანას;
- შესაბამისი საბაზისო დაფინანსების შემოღება საზოგადოებრივი კვლევითი ორგანიზაციების და მათ შორის თანაბარი პირობების შექმნის მხარდასაჭერად;
- ხელსაყრელი პირობების შექმნა კომპანიების ხელშეწყობისა და წახალისების მიზნით, რათა განახორციელონ ინვესტიციები კვლევებსა და ინოვაციებში;
- შავი ზღვის სტრატეგიული კვლევებისა და ინოვაციების დღის წესრიგის განხორციელება, რომელიც წარმოადგენს „შავი ზღვის სინერჯის“ რეგიონული დღის წესრიგის ნაწილს.

7.2 განათლება, ტრენინგი და ახალგაზრდობა

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- ყველასთვის ხარისხიანი განათლების უფლების უზრუნველყოფა, მათ შორის, სოციალურად დაუცველი პირებისთვის; შემდგომი ნაბიჯების გადადგმა ინკლუზიური განათლებისა და მომზადების ხელშეწყობის მიზნით;
- პროფესიული განათლებისა და მომზადების მიმართ სტრატეგიული მიდგომის წახალისება, საქართველოს პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის ევროკავშირის პროფესიული განათლებისა და მომზადების სტრუქტურების მოდერნიზაციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, კოპენჰაგენის პროცესის შესაბამისად და მისი ინსტრუმენტების გამოყენებით, აგრეთვე თანაბარი შესაძლებლობების პრინციპების დაცვით;
- პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში კერძო სექტორის აქტიური ჩართულობის წახალისება, მისი აქტუალურობისა და ეფექტურობის გაზრდის და, საბოლოოდ, კერძო სექტორისთვის კვალიფიციური მუშახელის გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;

- განათლების ხარისხის, თანაბარი ხელმისაწვდომობისა და მდგრადობის (მათ შორის, განათლების ყველა საფეხურის ეფექტიანი დაფინანსების) შემდგომი გაძლიერება და არაფორმალური განათლებისა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის წახალისება;
- Erasmus+-ისა და ევროპის სოლიდარობის კორპუსის პროგრამებში საქართველოს აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ერთობლივი მუშაობა და გაცვლითი პროგრამების განხორციელება, განათლებისა და მომზადების სისტემაში საქართველოს რეფორმებისა და უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში შემდგომი ინტეგრაციის ხელშეწყობის, განათლების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესების, სწავლისა და სწავლების პრაქტიკის მოდერნიზების, აგრეთვე კურსდამთავრებულთა შრომისუნარიანობის გაზრდისთვის და სამოქალაქო ჩართულობისთვის უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით;
- ერთობლივი ძალისხმევების შემდგომი გაძლიერება საქართველოში აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის ეფექტური და სრულფასოვანი განხორციელების უზრუნველსაყოფად;
- ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართ სტრატეგიული მიდგომის გაძლიერება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საშუალებით, აგრეთვე ახალგაზრდებისა და ახალგაზრდა მუშაკებისთვის არაფორმალური განათლების სფეროში გაცვლითი პროგრამებისა და თანამშრომლობის გაძლიერება, მათ შორის, Erasmus+-ის ახალგაზრდული მიმართულების საშუალებით, რომლის მიზანია ახალგაზრდების განვითარებისთვის მდგრადი ეკოსისტემის შექმნა;
- ახალგაზრდებთან მუშაობისადმი სტრატეგიული მიდგომის წახალისება იმ გამოწვევებთან უფრო ეფექტურად გამკლავების მიზნით, რომელთა წინაშეც დგანან ახალგაზრდები, აგრეთვე ძირითადი კომპეტენციების განვითარებისა და ახალგაზრდების პოტენციალის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით.

7.3 კულტურის სფეროში თანამშრომლობა

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის („იუნესკო“) 2005 წლის „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ კონვენციის განხორციელების ხელშეწყობა;
- თანამშრომლობა საქართველოში ინკლუზიური კულტურული პოლიტიკის შემუშავებისა და კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და ვალორიზაციის, აგრეთვე კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების მიმართულებით, სოციალურ-

ეკონომიკური განვითარების, ჩართულობისა და მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით;

- კულტურული/აუდიოვიზუალური თანამშრომლობის პროგრამებში, კერძოდ, პროგრამაში „კრეატიული ევროპა“, საქართველოს კულტურისა და აუდიოვიზუალური ოპერატორების მონაწილეობის ხელშეწყობა;
- კულტურათაშორისი დიალოგის და დემოკრატიული კულტურის განვითარების ხელშეწყობა ახალგაზრდებთან მუშაობის მეშვეობით;
- ხელოვანთა მობილობის წახალისება;
- თანამშრომლობა საქართველოში სპორტული პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით, საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის საშუალებით; საქართველოში სპორტის სფეროში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის ხელშეწყობა Erasmus-ის სპორტულ ღონისძიებებში და ასევე სხვა ინიციატივებში, როგორცაა „ევროპის სპორტის კვირეული საზღვრებს მიღმა“ და #BeActive Awards შეჯიბრება;
- კარგი პრაქტიკის გაცვლა სპორტის წინაშე მდგარ საფრთხეებთან ბრძოლის სფეროში, როგორცაა ძალადობა სპორტში, ყველა სახის დისკრიმინაცია, მანიპულაციები სპორტულ შეჯიბრებებში და დოპინგი. სპორტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, სპორტული ეთიკის განვითარების და, ასევე, სოციალური ჩართულობისა და კარგი მმართველობის პრინციპების წახალისება.

7.4 თანამშრომლობა აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- მუშაობა სათანადო ევროპული სტანდარტების შესაბამისად მედიის დამოუკიდებლობისა და პროფესიონალიზმის განმტკიცების და ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად აუდიოვიზუალურ სფეროში კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიმართულებით, მათ შორის, აუდიოვიზუალურ პოლიტიკასა და შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებზე, სიძულვილის წაქეზების, რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის ჩათვლით, მოსაზრებების გაცვლის გზით;
- რეგულარული დიალოგის მეშვეობით საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება მედიის თავისუფლების, მედიის პლურალიზმის, დიფამაციის დეკრიმინალიზაციის, ჟურნალისტური წყაროების დაცვისა და მედიის კულტურული მრავალფეროვნების ასპექტებზე; მედიის მარეგულირებელი ორგანოების შესაძლებლობებისა და დამოუკიდებლობის გაძლიერება.

7.5 რეგიონული განვითარება და რეგიონულ დონეზე თანამშრომლობა

მოკლევადიანი პრიორიტეტები

- საქართველოს 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების წარმატებით დასრულება, მათ შორის, ეროვნულ და ქვეეროვნულ ორგანოებს შორის ეფექტური უწყებათაშორისი კოორდინაციისა და პარტნიორობის მექანიზმების შექმნის გზით;
- 2020-2022 წლების საპილოტე ინტეგრირებული რეგიონული განვითარების პროგრამის წარმატებით განხორციელება, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ევროკავშირის „აქტუალურ რეგიონებზე“, მათ შორის, პოტენციური ინვესტიციებზე ისეთ სფეროებში, როგორცაა ინოვაციები და მცირე და საშუალო საწარმოები, საქართველოში ახალი მიზიდულობის ცენტრების შექმნის მიზნით;
- „ჭკვიანი სპეციალიზაციის“ რეგიონულ დავალებაზე მუშაობის წინ წაწევა, მათ შორის, დაინტერესებული მხარეების ტრენინგის და შესაძლებლობათა ზრდის გზით;
- საქართველოში ევროკავშირის „სტატისტიკის მიზნებისთვის ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურის“ მეთოდოლოგიისა და კლასიფიკაციის ეტაპობრივი დანერგვისთვის შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრა;
- პროაქტიული მონაწილეობა Interreg NEXT-ის შავი ზღვის აუზის 2021-2027 წლების პროგრამის შემუშავებაში კლიმატის ცვლილების და ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების და სტიქიური უბედურების რისკების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, აგრეთვე თანამშრომლობის გაძლიერება ბუნებრივი მემკვიდრეობისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით. საჭირო მართვისა და კონტროლის სტრუქტურების შესაძლებლობათა გაძლიერება.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- შესაბამისი ორგანოების შემდგომი მხარდაჭერა ეროვნულ და ქვეეროვნულ ხელისუფლების ორგანოებს შორის პარტნიორობის გაძლიერების, შესაძლებლობათა ზრდის კუთხით გაწეული ძალისხმევის და სხვა რეგიონული განვითარების ინსტრუმენტების მიმართულებით, ამავდროულად 2020-2022 წლების საპილოტე ინტეგრირებული რეგიონული განვითარების პროგრამის და მისი მემკვიდრე პროგრამ(ებ)ის, აგრეთვე საქართველოს დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიის ეფექტური განხორციელებით;
- საქართველოს ტერიტორიული განვითარებისთვის ინტეგრირებული და მრავალი დაინტერესებული მხარის ჩართულობით განხორციელებული ქმედებების მხარდაჭერა ისეთ სფეროებში, როგორცაა სივრცის დაგეგმარება, წყლისა და ნარჩენების მართვა, გზები, ელექტროენერჯია და სხვა საბაზისო ინფრასტრუქტურა, სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია,

ტურიზმი და ბიზნესის განვითარება, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა და ობიექტები, ინვესტიციები არსებულ ბიზნესში, ენერგოეფექტურობა, სოციალური აქტივობა და ჩართულობა;

- ინსტიტუციური ღონისძიებების გაუმჯობესება და შესაბამისი შესაძლებლობების შექმნა ეროვნულ/რეგიონულ/ადგილობრივ დონეზე Interreg NEXT-ის შავი ზღვის აუზის 2021-2027 წლების პროგრამაში მონაწილეობის მიზნით;
- „ჭკვიანი სპეციალიზაციის“ შემუშავება და ამოქმედება როგორც კვლევისა და ინოვაციების სფეროში საინვესტიციო გადაწყვეტილებების საფუძველი, რეგიონებისა და მთელი ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის გაზრდის მიზნით;
- ეკონომიკური ტრანსფორმაციის პრიორიტეტული სფეროების შერჩევა კონკურენტული უპირატესობებისა და ადგილობრივ ხელისუფლებას, სამეცნიერო წრეებს, ბიზნესსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ინკლუზიური დიალოგის საფუძველზე;
- საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სისტემაში ევროკავშირის „სტატისტიკის მიზნებისთვის ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურის“ მეთოდოლოგიისა და კლასიფიკაციის ეტაპობრივი გამოყენების მხარდაჭერა.

7.6 მონაწილეობა ევროკავშირის სააგენტოებსა და პროგრამებში

საშუალოვადიანი პრიორიტეტები

- „ევროკავშირის პროგრამებში მონაწილეობის შესახებ“ ოქმის განხორციელების გადახედვა ევროკავშირის სპეციფიკურ პროგრამებში საქართველოს ახლანდელი მონაწილეობის საფუძველზე.

7.7 საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება და ხილვადობა

- კარგად ინფორმირებული დისკუსიების უზრუნველყოფა, მათ შორის, ფართო საზოგადოებასთან და საქართველოს მოქალაქეებთან, საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების, მათ შორის, ასოცირების დღის წესრიგისა და განსაკუთრებით ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტის, შესაძლებლობებისა და შედეგების შესახებ.
- კომუნიკაციის შესაძლებლობების გაძლიერება ევროკავშირის ცნობადობის გაუმჯობესების, საერთო ღირებულებების ხელშეწყობისა და ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის დადებითი ზეგავლენის განმარტების მიზნით.
- ევროკავშირის ყველა პროექტისა და პროგრამის და მათი ზეგავლენის შესაბამისი ცნობადობის უზრუნველყოფა 2020 წლის შემდგომი

აღმოსავლეთ პარტნიორობის პრიორიტეტების მე-2.6 მუხლისა და ევროკავშირის შესახებ კომუნიკაციასა და მის ცნობადობასთან დაკავშირებული მოქმედი ყოვლისმომცველი წესებისა და სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად.
